ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## თამარ ჩუგოშვილი: „რუსთავი 2-ის სასამართლო არჩევნებიდან ასე სწრაფად, ჯობდა, არ ჩანიშნულიყო“

გვ.5



18 ნოემბრიდან

მოთხრობები რობინ ჰუდზე

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



ორშაბათი, 21 ნოემბერი, 2016 №276 (7201) ფასი: 50 თეთრი

# 35 წლის მამაკაცმა მშობლებს თავები მოჰკვეთა




მკვლელობაში ეჭვმიტანილს 20 წლის წინ შიზოფრენია დაუდგინდა გვ.7

## ბოლო დღეებში ის აგრესიული გახდა და წამლებს აღარ იღებდა



## რამაზ საყვარელიძე: „ქართულ ოცნებაში“ თაობათა ბრძოლა იქნება“

გვ.3



## ემზარ კვიციანი: „ბევრ საიდუმლოს ავხდი ფარდას“



„ნაციონალები უაზროდ პირის გაღებას თუ არ მოეშვებიან, დოკუმენტებს საჯაროდ ავუფრიალებ“ გვ.2



გვ.4 დეპუტატმა თანაფრაქციელების ვინაობა გაამხილა

## სიმონ ნოზაძე: „არჩევნებამდე იყო გადაწყვეტილი, რომ მრეწველები „ოცნებასთან“ კოალიციას შევქმნიდით“



## ანზორ აბრალავა: „სააკაშვილი უკრაინისთვისაც პრობლემა გახდა“

„ახალი ძალები მაშინ გაჩნდება, როცა საზოგადოების მოთხოვნა იქნება“ გვ.5

## მინისტრთა კაბინეტის წარდგენამ ერთი დღით გადაიწია

გვ.5



ISSN 1987-9385

## რა არის დენის საათობრივი მრიცხველი და როდის დაინერგება საქართველოში გვ.6

მოსახლეობას ექნება 2 ტიპის, დღე-ღამის ტარიფი და თავად მოახდენს ხარჯების ოპტიმიზაციას

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ემზარ კვიციანი: „ბევრ საიდუმლოს ავხდი ფარდას“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ ითხოვენ დამატებით მანდატებს, რას აპირებენ პარლამენტში, ვინ ვის მოუწყო ჯოჯოხეთი პირველ სხდომაზე? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ემზარ კვიციანი ესაუბრება.**

***– სულ ახლო წარსულში ნაციონალები თქვენ მოღალატედ და რუსეთის აგენტად მოგიხსენიებდნენ. 18 ნოემბრიდან მოყოლებული, 4 წელი მათთან ერთად მოგიწევთ მუშაობა. როგორი იყო მათი და თქვენი შეხვედრა?***

– როგორი იქნებოდა? ჩემი დანახვა რომ არ გაუხარდებოდათ, ამაში, ალბათ, ეჭვი არავის გეპარებათ. თქმით არც მათ უთქვამთ რამე და მეც თავშეკავება გამოვიჩინე. ერთი რამე შევამჩნიე – ნაციონალები მთელი სხდომის განმავლობაში ჩვენკენ ჩუმ-ჩუმად აპარებდნენ თვალს.

***– მათთან ახლოს რატომ დასხედით ალიანსის წევრები?***

– ნაციონალები სადაც სხედან, ეგ არის ოპოზიციური ფლანგი. ჩვენ ოპოზიცია ვართ და ამ ფლანგზე მოგვიხდა დაჯდომა. დათვს ნიორი სძულდა და ცხვირიდან ამოსდიოდაო, ასე მოგვივიდა პატრიოტთა ალიანსს.

***– არ გიჭირთ მათთან ახლოს ჯდომა?***

– არ გვიხარია, მაგრამ ჯერ ვაკვირდებით. პარლამენტის პირველმა სხდომამ ის დრო გამახსენა, ტყეში რომ წამიყვანეს პირველად. თავიდან არ ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა, მერე ნელ-ნელა ყველაფერი ავითვისე და ახლა ტყეში თავს კარგად ვგრძნობ.

პარლამენტშიც ისე რომ ვიგრძნობ თავს, როგორც ტყეში, მაშინ უკვე კარგად იქნება ყველაფერი. პარლამენტს თავისი ტექნიკა აქვს და მის გამოყენებას სწავლება სჭირდება. კი აგვიხსნეს რაღაცები, მაგრამ, ცოტა არ იყოს, გამიჭირდა. არაფერია, ტყეშიც ეგრე გამიჭირდა და მერე ყველაფერი ავითვისე.

***– ხმის მიცემა გაგიჭირდათ?***

– არა, ეგ იოლია. რეპლიკისა და განცხადების გაკეთება რომ გინდა, რაღაცნაირად უნდა დაიჭირო თადარიგი. ეს ტექნოლოგია პირველ დღეს ვერ ავითვისეთ, რეაგირებას ვაგვიანებდით და ამიტომ აღარ ვიაქტიურე ძალიან. ნაციონალებს თუ ჰგონიათ, რომ სულ ასე იქნება, მწარედ ცდებიან.

ჩვენი პასიურობა იმითაც იყო გამოწვეული, რომ სიტუაციის შესწავლა გვინდა. სხდომას რომ დავაკვირდით, იყო მომენტები, როცა „ოცნებისა“ და ნაციონალების დაპირისპირება დადგმულ სპექტაკლს ჰგავდა, ხან გულწრფელი იყო მათი ჩხუბი. ნელ-ნელა გავერკვევით და მერე ვიტყვით ჩვენს სათქმელს.

***– გამოდის, რომ ახლა ალიანსი მაყურებლის როლშია.***



– მაყურებლის როლში არ ვართ, ჩვენ დამკვირვებლებივით ვიქცევით. ჩვენ არც უმრავლესობაში ვართ და არც – უმცირესობაში, ვართ მხოლოდ 6 კაცი და ვართ ცალკე. საერთოდ ასეა, პატრიოტები პარლამენტში და მთავრობაში ყოველთვის ცოტანი არიან. მადლობა ღმერთს, რომ ქვეყანაში პატრიოტები მრავლად არიან. იმედი გვაქვს, უმრავლესობასაც და უმცირესობასაც წინააღმდეგობას გავუწევთ.

***– გამოგივათ წინააღმდეგობის გაწევა? უმრავლესობა 116 კაცით არის წარმოდგენილი, უმცირესობას 27 მანდატი აქვს, ალიანსიდან კი სულ ექვსნი ხართ. 6 კაცი შეძლებს პარლამენტში ამინდის შექმნას?***

– ცხოვრებაში შეუძლებელი არაფერია. ჩვენ ჩვენს სათქმელს გავახმოვანებთ, მოსახლეობის ყურამდე მივიტანთ სათქმელს და, თუ რაიმე არასწორი გზით წავა, არც ამის მხილებას მოვერიდებით. ადრე რუსები ანექსიას იმისთვის აწყობდნენ, რომ ყოფილი ხელისუფლებისთვის მიეცათ სალაპარაკო. ახლა ასე აღარ იქნება.

ჩვენ რაღაც კანონპროექტების ინიცირებას ვაპირებთ, რომლებიც ანექსიის წინააღმდეგ იქნება მიმართული. აბა, ვნახოთ, დაუჭერს თუ არა ამას მხარს ან უმრავლესობა, ან უმცირესობა. ჩვენი საკანონმდებლო ინიციატივები მათთვის ტესტირება იქნება.

***– სამართლიანობის აღდგენის საკითხის დაყენებას თუ აპირებთ? პარლამენტში შესვლამდე ამის აუცილებლობაზე ხშირად საუბრობდით.***

– ამ საკითხს აუცილებლად დავაყენებთ. ამის გარეშე არაფერი გამოვა. სამართლიანობის აღდგენა პატრიოტთა ალიანსის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს. ჩემი აზრით, პარლამენტში აუცილებლად უნდა შეიქმნას საგამოძიებო კომისია, რომელიც ყველა გახმაურებულ საქმეს გამოიძიებს.

***– კოდორის მოვლენების გამოძიებას თუ მოითხოვთ?***

– ეს საქმე, წესით, აქამდე უნდა შეესწავლათ. მე თუ მკითხავთ, კოდორის საქმის შესწავლა 2004 წლიდან უნდა დაიწყოს. სწორედ ამ წელს დაიწყეს გივი თარგამაძემ და გიგა ბოკერიამ ხეობის დამცველების წინააღმდეგ ბრძოლა. მათ დაუწყეს პირველებმა ლანძღვა ბატალიონ

## „ნაციონალები უაზროდ პირის გაღებას თუ არ მოეშვებიან, დოკუმენტებს საჯაროდ ავუფრიალებ“

„მონადირის“ წევრებს, ირაკლი ოქრუაშვილმა კი ყველაფერი გააკეთა მის გასაუქმებლად. აუცილებლად უნდა დადგინდეს, კონკრეტულად ვისი დავალებით დაიწყო ეს პროცესი.

***– თქვენ გახდით თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის წევრი. წესით, უფრო უნდა გაგიადვილდეთ რაღაც დოკუმენტების მოძიება.***

– სიმართლე ამ დოკუმენტების გარეშეც ვიცი. უბრალოდ, მინდა, რომ ხალხს დოკუმენტებით დავანახო, რასთან ჰქონდათ საქმე. გარწმუნებთ, ძალიან ბევრ საიდუმლოს ავხდი ფარდას.

ალბათ, იმიტომ გამწარდნენ, როცა გაიგეს, რომ მე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრი გავხდი. მათიც კარგად მესმის, წინ ბევრი სიურპრიზი ელოდებათ.

***– ვინ გამწარდა ამ კომიტეტში თქვენი შესვლით, ქოცები თუ ნაცები?***

– „ოცნებაშიც“, შესაძლოა, ვიღაცას არ მოვწონდე, მაგრამ გამწარებით ნაციონალები გამწარდნენ. მე სიმართლის მოყვარული კაცი ვარ და ერთი რამე აუცილებლად უნდა ვთქვა – ნაცმოძრაობის საპარლამენტო შემადგენლობაში მრავლად არიან ახალგაზრდები, რომლებსაც კოდორის ხეობის ჩაბარებაში არანაირი ბრალი არ მიუძღვით. ამიტომ ჯერჯერობით მათ მიმართ არანაირი აგრესია და პრეტენზია არა მაქვს.

***– ჯერჯერობით არა მაქვსო, ამბობთ. გამოდის, რომ მომავალში მათ მიმართ აგრესიის გაჩენას არ გამორიცხავთ.***

– როგორც უკვე გითხარით, ბევრი საიდუმლოსთვის ვაპირებ ფარდის ახდას. როდესაც ყველაფერი გაირკვევა, მაშინაც თუ ამ პარტიაში დარჩებიან ეს ახალგაზრდები, სხვანაირი დამოკიდებულება მექნება. ისინი პარტიას თუ არ დატოვებენ, კეთილი ინებონ და სააკაშვილის ჩადენილ ცოდვებსა და ღალატზე პასუხისმგებლობა აიღონ.

***– საკანონმდებლო ინიციატივები უკვე მომზადებული აქვს პატრიოტთა ალიანსს?***

– რაღაცები უკვე მომზადებული გვაქვს, რაღაცებს მომავალში მოვამზადებთ. საინტერესო პროცესები იქნება წინ.

***– თქვენი პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ირმა ინაშვილმა განაცხადა, ალიანსი პარლამენტში საჟღურტულოდ არ შესულაო და ჩხუბს ხომ არ აპირებთ?***

– ჩხუბის სურვილი არ გვაქვს, მაგრამ კამათი აუცილებლად იქნება. არის საკითხები, რომლებზეც ძალიან მწვავე კამათია მოსალოდნელი. ჩვენ ძალიან პრინციპულები ვიქნებით ანტიდისკრიმინაციული კანონის მიმართ. ისევე, როგორც ჩვენი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, ალიანსშიც ვერ გავიგეთ, რა საჭირო იყო ამ კანონის მიღება.

***– კანონი იმიტომ იქნა მიღებული, რომ არავის დისკრიმინაცია არ მოხდეს.***

– ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებამდე რომელიმე კანონში ეწერა, რომ დისკრიმინაცია დასაშვები იყო? მთელი კანონები და კონსტიტუცია იმისკენ არის მიმართული, რომ ყველა დაცული იყოს. ჩვენთვის ყველა ადამიანის უფლების დაცვა უმნიშვნელოვანესია, თუმცა მიუღებელია ეს კანონი. ჩვენი აზრით, ის რაღაც მიზნით იქნა მიღებული.

პატრიოტთა ალიანსი აუცილებლად მოვითხოვთ ცილისწამების მუხლის აღდგენას, რომელიც 2005 წელს შეგნებულად, ბოროტი განზრახვით ამოიღეს სისხლის სამართლის კოდექსიდან.

***– რატომ გგონიათ, რომ ბოროტი განზრახვით ამოიღეს ეს მუხლი?***

– ამ მუხლის ამოღება პატიოსანი და პატრიოტი ხალხის წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯი იყო. მთელი ამ წლების განმავლობაში ჩვენ მიმართ არაერთი სიბინძურე ითქვა, მაგრამ ამის გამო ვერავის ვუჩივლეთ. ტყუილია, როცა ამბობენ, რომ ამ მუხლის ამოღება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვას ემსახურება. ეს მუხლი პატიოსანი და მათთვის მიუღებელი ხალხის გასასვრელად ამოიღეს. არ მესმის, რანაირად შეიძლება იყოს პატიოსანი კაცისთვის სიბინძურის დაბრალება სიტყვის თავისუფლება.

ცილისწამება ყველაზე დიდი საშინელება და მკრეხელობაა, რაც კი დედამიწაზე არსებობს. ამიტომაც პატრიოტთა ალიანსი ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს მუხლი აღდგეს.

***– ცილისწამებასა და ბრალდებებზე ვსაუბრობთ. თქვენი პარტია არაერთხელ შერაცხეს პრორუსულ ძალად და თურქოფობებად. ამ იარლიყებზე რას იტყვით?***

– რა უნდა ვთქვა, საქართველოში ხომ ასეა, თუ პატრიოტი ხარ და ქართული საქმის გაკეთება გინდა, პრორუსად ითვლები. არადა, ამ დროს სწორედ ეს ხალხია რუსეთის აგენტურა. ეს ყველაფერი გაშიფრულია და ფაქტებს ნუ ამაფრიალებინებენ.

***– რა ფაქტებზე საუბრობთ?***

– ნაციონალების აგენტობის ამბავი კარგად მაქვს შესწავლილი და, უაზროდ პირის გაღებას თუ არ მოეშვებიან, საჯაროდ ავუფრიალებ დოკუმენტებს.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# დღეს რუსეთის წინაშე ისეთივე საფრთხეები დგას, რომლებმაც საბჭოთა კავშირი დაშალა

**რუსეთის ყოფილ ფინანსთა მინისტრ ალექსეი კუდრინის განცხადებით, რუსეთის წინაშე ისეთივე რისკები დგას, როგორებიც საბჭოთა კავშირის წინაშე იდგა 1980-90-იან წლებში.**

„სამოქალაქო ინიციატივის კომიტეტმა“, რომლის თავმჯდომარეც კუდრინია, მოაწყო სრულიად რუსეთის სამოქალაქო ფორუმი. ფორუმის დასკვნით სხდომაზე კუდრინს დაუსვეს კითხვა:

– რაში უნდა დახარჯოს რუსეთმა ამ პერიოდში ფული – ჯარის გაძლიერებაზე თუ ჰუმანიტარული პრობლემების მოგვარებაზე?

კითხვაზე პასუხისას კუდრინმა განაცხადა, რომ რუსეთს ახლა იგივე პრობლემები აქვს, რაც საბჭოთა კავშირს – ქვეყანაში მიდის დეცენტრალიზაციისა და რეგიონალიზაციის



პროცესები.

– საბჭოთა კავშირი დაიშალა არა სუსტი შეიარაღებული ძალების ან სუსტი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის გამო, იგი იმიტომ დაიშალა, რომ მას სუსტი, არაეფექტური, დრომოჭმული ეკონომიკური სისტემა ჰქონდა, – განაცხადა ყოფილმა მინისტრმა.

მისი აზრით, დღევანდელი რუსეთის მთავარი გამოწვევა ასევე არაეფექტური ეკონომიკაა, რომელსაც არ შეუძლია, იყოს ტექნოლოგიურად მოწინავე პოზიციებზე მსოფლიოში.

– სსრკ-ის დაშლაში არც ლიბერალები და დისიდენტები არიან დამნაშავე და არც გაიდარის გუნდი. საბჭოთა კავშირის საწყობები გადავსებული იყო შეიარაღებით, რომელიც არავის სჭირდებოდა. ამ შეიარაღებაზე მუშაობდა ქვეყანაში არსებული ასეულობით და ათასობით საწარმო და უცებ, ერთი გადაწყვეტილების გამო, ამ წარმოებების მოცულობა ხუთჯერ შემცირდა, მთელი რიგი გიგანტური ქარხნები, რომლებიც სხვადასხვა რესპუბლიკაში იყო განთავსებული, საერთოდ გაჩერდა. სწორედ ამის გამო დაირღვა ქვეყნის რეგიონებს შორის კავშირი, დაიშალა გეგმური ეკონომიკა, – აღნიშნა კუდრინმა.

მან მაგალითად პეტერბურგი მოიყვანა, რომლის ქარხნებიც აღარ მარაგდებოდა საჭირო დეტალებით და ხელისუფლება იძულებული გახდა, ძალიან ბევრ პროდუქტზე ტალონები შემოეღო.

კუდრინი ფიქრობს, რომ რუსეთში ამჟამად ეკონომიკის სხვა მოდელი მუშაობს და ის უნდა განვითარდეს. შეიარაღება არ უნდა იყოს ეკონომიკის გადამწყვეტი ფაქტორი, მით უმეტეს, რეალური სამხედრო რისკები რუსეთის წინაშე არ დგას. გეოპოლიტიკურ არენაზე დაპირისპირებები თამაშის სხვა წესებით ხდება.

სწორედ ამის გამო კუდრინს მიაჩნია, რომ სამხედრო ექსპერტების აღფრთოვანება ქვეყნის სამხედრო პოტენციალით და განცხადებები, რომ ძლიერი შეიარაღების გამო მსოფლიო რუსეთს კიდევ ათობით წელი ვერაფერს გაუბედავს, სისულელეა, რადგან ამის რისკი მინიმალურია.

კუდრინმა ასევე გააკრიტიკა ქვეყნის მედიაში მიმდინარე ანტიდასავლური რიტორიკა, რაც, მისი აზრით, ბიზნესისა და მრეწველობის განვითარებას უშლის ხელს, რადგან ტექნოლოგიურად ძლიერი დასავლეთი ფრთხილობს რუსეთში თავისი ტექნოლოგიებისა და ინვესტიციების შემოტანას.

სახელმწიფო დუმაში მთავრობის მიერ წარდგენილი 2017-20 წლების ბიუჯეტებში მთავარი პრიორიტეტები თავდაცვის სფეროზე მოდის, ხოლო ეკონომიკის განვითარებისა და სოციალური სფეროს ხარჯები რადიკალურად შემცირებულია.

– ყოველივე ეს კი ეკონომიკურ სტაგნაციას იწვევს. სოციალური ფონი უფრო და უფრო უარესდება. სუსტმა, მხოლოდ ნედლეულის გაყიდვაზე დამყარებულმა ეკონომიკამ და რეგიონების თავისუფალი სოციალ-ეკონომიკური განვითარების შეუძლებლობამ, შესაძლოა, დეზინტეგრაციული პროცესებიც გამოიწვიოს, – ასკვნის კუდრინი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რამაზ საყვარელიძე: „ქართულ ოცნებაში“ თაობათა ბრძოლა იქნება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მე-9 მოწვევის პარლამენტის შემადგენლობის შესახებ საუბრობს.

***— ბატონო რამაზ, მე-9 მოწვევის პარლამენტი რამდენად შეძლებს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი კანონები მიიღოს? მით უფრო, საკონსტიტუციო უმრავლესობა მმართველი ძალის ხელშია.***

— მე კიდევ უფრო მეტად მძაფრ ფორმულირებას ავირჩევდი — პარლამენტს სხვა გზა არ აქვს. სწორად უნდა გადადგას აქტიური ნაბიჯები და მიიღოს ქვეყნისთვის მართლაც მნიშვნელოვანი კანონები. თუ „ქართულ ოცნებას“ სურს პოლიტიკური ცხოვრების გაგრძელება, მას მოუწევს რადიკალურად სხვა პოლიტიკის წარმოება, ვიდრე ჩვენ ეს ვნახეთ გასულ ოთხ წელიწადში, ვგულისხმობ მეტ ალმშენებლობას, მეტ კარგ კანონსა და მეტი ეკონომიკური მიმართულებით მოქმედებას. ახალ არჩევნებში გამარჯვება თუ იქნება მმართველი ძალის ამოცანა, მაშინ მას მოუწევს რეალური გადაწყობა, რადგან საზოგადოება ძალიან კრიტიკული იქნება „ქართული ოცნების“ მიმართ. მთელი პასუხისმგებლობა ყველაფერზე სწორედ მას დაეკისრება.

***— უმრავლესობაში ბევრი ახალი სახეა. ეს შეიძლება უფრო დადებითად წაადგეს პროცესს, გარკვეულ დირექტივას არ დაემორჩილოს?***

— ის, რომ ახალგაზრდების გუნდი გამოჩნდა, უკვე ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება ასე ცალსახა არ იქნება, ვნახოთ, გამორიცხული არაფერია. ყველა დროსა და სივრცეში ახალგაზრდა მაინც იმედთან, სიახლესთან ასოცირდება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, თაობათა ბრძოლა კონცეპტუალური თვალსაზრისით, ალბათ, სახეზე იქნება, რაც ცუდი არ არის.

***— მე-9 მოწვევის პარლამენტში შევიდა ნაციონალური მოძრაობა, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგობის მიუხედავად, ასევე, მიუხედავად იმისა, რომ პარტიის გახლეჩის საფრთხე დადგა. კვლავ დაძაბული იქნება „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალებს შორის ურთიერთობა თუ გარკვეული თანამშრომლობა მოსალოდნელია?***

— ნაციონალური მოძრაობის იმ ფრთამ, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, შესულიყო პარლამენტში, განაცხადა, რომ ტრიბუნას გამოიყენებენ და ამიტომ შედიან. ყველაფერს აქვს თავისი ფორმა. თუ ამ ფორმას დაარღვევენ, მაშინ, რთული სათქმელია, რაიმე თანამშრომლობას ჰქონდეს ადგილი და კიდევ უფრო დაძაბული არ იყოს მდგომარეობა. ვნახოთ.

***— ბატონო რამაზ, რამდენად შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალური მოძრაობა შეეგუა არსებულ რეალობას და ამ რეალობაში წაგებული მიხეილ სააკაშვილი დარჩა?***

— ამ ეტაპისთვის სწორედ ასე ყალიბდება სურათი, როგორც თქვენ ბრძანეთ. დიახ, ნაციონალური მოძრაობა შეეგუა არსებულ რეალობას. სხვა გზა მას არ ჰქონდა.

***— თუმცა, ასე არ ფიქრობს ყოფილი პრეზიდენტი.***

— დიახ, სააკაშვილი ასე არ ფიქრობს, მაგრამ, ასევე ფაქტია, რომ მან აღიარა პარტიის გაყოფა და მას პარტიაში ღიად დაუპირისპირდნენ.

***— ამბობთ, რომ ბოკერიას სასარგებლოდ ერთით ნულია?***

— ჯერჯერობით ასეა, მაგრამ მე გიგა ბოკერიას არ გამოვყოფდი და ვიტყოდი გუნდს, რომელიც პარლამენტში შევიდა და რომელიც ეწინააღმდეგებოდა სააკაშვილს ამ საკითხზე. მე ვფიქრობ, გუნდს აუღო ალღო ბოკერიამ, ამან მიიყვანა პროცესი ამ შედეგამდე და არა მგონია, მხოლოდ ბოკერია ყოფილიყო ამის ინიციატორი.

***— კიდევ ერთი ძალა, რომელმაც ბარიერი გადალახა, პატრიოტთა ალიანსია. ეს პარტია რა პოლიტიკას გაატარებს პარლამენტში? ირმა ინაშვილმა თქვა, რომ ისინი არასაპარლამენტო ოპოზიციის ფანჯარა იქნებიან პარლამენტში, მათ იდეებს გაახმოვანებენ.***

— დიახ, ეს განცხადება გააკეთა ქალბატონმა ინაშვილმა და ეს არ არის მოულოდნელი. დიახ, ჩანს, ისინი სწორედ ამ მიმართულებით იმუშავებენ. ამ პარტიას აქვს თავისი პოლიტიკური ბიოგრაფია. კიდევ ერთი, რაც მკაფიოდ იკვეთება, არის ის, რომ პარტიას მკვეთრი დაპირისპირება ექნება ნაციონალურ მოძრაობასთან. აქ, ალბათ, თანამშრომლობაზე საუბარი ზედმეტია.



# ირაკლი აბესაძე: „ნაციონალურ მოძრაობას თავდაცვის კომიტეტში მოადგილე აუცილებლად ეყოლება“

— ნაციონალურ მოძრაობას თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში მოადგილე აუცილებლად ეყოლება.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრმა ირაკლი აბესაძემ კომიტეტის სხდომის შემდეგ განაცხადა.

როგორც აბესაძემ აღნიშნა, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ოპოზიციური კვოტის დაკავებაზე მისი კანდიდატურა იყო წარდგენილი ნაციონალური მოძრაობის მხრიდან, თუმცა პარტიამ კონსულტაციების შემდეგ კანდიდატურა დროებით უკან გაიწვია და ხელახალი წარდგინება კომიტეტის მომდევნო სხდომაზე მოხდება.

— ძალიან მნიშვნელოვანია, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა მოახერხოს და იმუშაოს წარმატებულად, ვინაიდან ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების წინაშე რეალური გამოწვევები არსებობს, რასაც ხელისუფლება, წინა მმართველობის პერიოდში, ფაქტობრივად შემგუებლური პოზიციით უყურებდა.

პირველ რიგში, ეს არის რუსეთის ფედერაციის ქმედებები, რომელიც რეგიონში აგრესიულობით გამოირჩევა. ჩვენს ქვეყანაში გასულ წლებში გრძელდებოდა მცოცავი ანექსია და ოკუპაცია. ასე რომ, ამ მიმართულებით ძალიან ბევრი სამუშაო ექნება თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს.



რაც შეეხება თანამდებობის საკითხებს, ეს აბსოლუტურად არაარსებითი საკითხია. ეს არის პოლიტიკური კონსულტაციების საკითხი, რასაც შემდგომში დავუბრუნდებით, თუმცა უნდა ითქვას, რომ ნაციონალურ მოძრაობას თავდაცვისა და უშიშრობის კომიტეტში მოადგილე აუცილებლად ეყოლება, — განაცხადა აბესაძემ.

◆ ◆ ◆

შესაძლოა, ოპოზიციურ კვოტაზე კანდიდატი პატრიოტთა ალიანსმაც წარადგინოს.

ამ შემთხვევაში კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის არჩევაზე პოლიტიკური გადაწყვეტილება უმრავლესობამ უნდა მიიღოს.

— ჩვენ ყველა ერთად შევხედავთ, რა მიმართულების პოლიტიკურ ძალებს ირჩევს უმრავლესობა — პოლიტიკურ ძალას, რომელიც, ფაქტობრივად, პრორუსული მიმართულებისაა თუ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ერთადერთი პროდასავლური ოპოზიციური ძალაა საქართველოში, — განაცხადა აბესაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# მოსკოვში საქართველოსა და რუსეთის პატრიარქების შეხვედრა გაიმართა

ილია მეორე რუსეთის პატრიარქ კირილს 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად ეწვია. საქართველოსა და რუსეთის პატრიარქების შეხვედრა მოსკოვში შედგა.

პატრიარქების შეხვედრაზე საუბარი შეეხო ორი ეკლესიის ურთიერთობას. ეკლესიების მეთაურების თქმით, რუსულ და ქართულ ეკლესიებს შორის მეგობრობა პოლიტიკოსებისთვის, შესაძლოა, კარგ მაგალითად გამოდგეს:

— თუ დიპლომატები და პოლიტიკოსები მუშაობენ ცნობიერების დონეზე, ბიზნესმენები საფულისა და კუჭის, ეკლესია მუშაობს გულის დონეზე. ადამიანთა გულების კავშირის გარეშე შეუძლებელია, ქვეყნებსა და ხალხებს შორის კარგი ურთიერთობა იყოს, — განაცხადა პატრიარქმა კირილმა.

— ჩვენი ეკლესიების ურთიერთობა პოლიტიკოსებისთვის მაგალითს წარმოადგენს, — აღნიშნა ილია მეორემ.

ორი ქვეყნის პატრიარქებმა საქართველოში რუსი ტურისტებისა და მომლოცველების რიცხვის გაზრდაზე ისაუბრეს და ეს ფაქტი დადებითად შეაფასეს.

დღეს, 21 ნოემბერს, ილია მეორე სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლებთან ერთად მოსკოვის მაცხოვრის ტაძარში საერთო წირვას დაესწრება, 23 ნოემბერს კი მოსკოვის ქართულ ეკლესიაში პარაკლისს გადაიხდის და დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდება.



**ნიუპოსტი**

# მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში „ახალი ძალების მოძრაობას“ ქმნის



ოდესის ექსგუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში ახალ პოლიტიკურ მოძრაობას ქმნის. ამის შესახებ ინფორმაციას ის სოციალური ქსელის საშუალებით თავად ავრცელებს.

მისი თქმით, „ახალი ძალების მოძრაობა“ უკვე ბევრ რეგიონში დაიწყო.

— ჩვენ დავიწყეთ მუშაობა უკრაინის ყველა რეგიონში. ჩვენი გუნდი ძლიერია და ჩვენ ვიწვევთ ყველას, ვინც მზად არის გუნდური მუშაობისთვის. მოვუწოდებთ ყველა დემოკრატიულ პოლიტიკურ ძალას, ჩვენს რიგებში გაერთიანდეს. ჩვენ ქვეყანაში ძირეულ ცვლილებებს ვიწყებთ, — აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

ოდესის ყოფილი გუბერნატორის თქმით, მოძრაობის აქტივისტები კიევში „ღია საბჭოზე“ 27 ნოემბერს შეიკრიბებიან.

**პირველი რადიო**

# ემზარ კვიციანი: „ბევრ საიდუმლოს ავხდი ფარდას“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

***— პრორუსულობის ამბავი გავიგეთ, თურქოფობიაზე რას იტყვით?***

— საქართველოს დაცვა რომ გვინდა, რატომ არის ეს თურქოფობია, ამიხსნას ვინმემ. იმ ხალხს მივმართავ, ვინც ჩვენ თურქოფობობას გვაბრალებ, ჩვენთან ერთად წამოვიდეს თურქეთში და იმის გაკეთება ვცადოთ, რასაც აქ თურქეთის მოქალაქეები აკეთებენ. თურქეთი ამის უფლებას არ მოგვცემს და მართალიც იქნება. ეჭვი მეპარება, ვინმემ ისინი ქართველოფობებად მოიხსენიოს.

ნაციონალები თავად არიან ფობიებით შეპყრობილი აგენტები და სხვების ლანძღვით ცდილობენ საკუთარი სახის დამალვას. მართალი გითხრათ, ძალიან გამიკვირდა, ამ ხალხს 500.000 ამომრჩეველმა როგორ მისცა ხმა. 18 ნოემბერს სიტყვით გამოვიდა ეკა ბესელია და ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა.

***— რა თქვა ბესელიამ ამისთანა?***

— მან ნაციონალებს პირდაპირ უთხრა, აბა, კარგად დაფიქრდით, ბარიერი გადალახული გაქვთო? ამაზე ვერცერთმა ნაციონალმა ხმა ვერ ამოიღო. მათმა დუმილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ეჭვები, რომლებიც ყველა ჩვენგანს აქვს.

***— რაზე მიუთითებთ?***

— არჩევნები რომ დიდად დემოკრატიულად არ ჩატარდა, ამაზე ყველანი ვთანხმდებით. ამას თავის გამოსვლაში ქალბატონმა ეკამაც გაუსვა ხაზი. კერძოდ, მან მიანიშნა ნაციონალებს, რომ მათ იმათგან მიიღეს ხმები, ვინც არჩევნები ჩაატარა.

***— დარწმუნებული ხართ, რომ ბესელია ამას გულისხმობდა?***

— აბა, სხვანაირად როგორ უნდა წავიკითხო აბზაცებს შორის ფრაზა, კარგად დაფიქრდით, გაქვთ გადალახული ბარიერიო? ამაზე საინტერესო კითხვა ამ პარლამენტში ჯერ არ დასმულა.

***— თუმცა ამას დიდი აჟიოტაჟი არავისგან მოჰყოლია.***

— ეტყობა, ყურადღებით არ მოისმინეს ეს ფრაზა, მე კი გაფაციცებული ვუსმენდი.

***— პარლამენტმა უკვე ცნო 150 დეპუტატის უფლებამოსილება, თქვენი პარტია კი ისევ აგრძელებს სასამართლო დავას დამატებითი მანდატების მისაღებად. გამოგივათ რამე?***

— ვინც იბრძვის, იმას ყოველთვის გამოსდის რაღაც. ჩვენ მიგვაჩნია, რომ კიდევ 4 მანდატი გვეკუთვნის და ამას აუცილებლად მოვიპოვებთ.

***— ზემოთ თქვით, დამკვირვებლები ვართო და რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ პირველმა სხდომამ, მოუწყო ნაცმოძრაობამ „ქართულ ოცნებას“ დაპირებული ჯოჯოხეთი?***

— მე მორწმუნე კაცი ვარ და ჯოჯოხეთი სხვანაირად მესმის. რაც შეეხება შთაბეჭდილებას, ნაციონალები რაღაცას შეეცადნენ, მაგრამ კარგად მოსვეს თავის ადგილზე. განსაკუთრებით მომეწონა არჩილ თალაკვაძის გამოსვლა. მან კარგად გაუხსენა დამნაშავეებს სუსტი წერტილი.

რაც შეეხება ნაციონალების ჯოჯოხეთს, ჯოჯოხეთი მათ მიიღეს. ამაზე ფეისბუქზეც ხუმრობდნენ — ნაცები „ოცნებას“ ჯოჯოხეთს დაჰპირდნენ და თავდაცვის კომიტეტში ემზარ კვიციანი მიიღესო.

***— გინდათ თქვათ, რომ ნაციონალების ჯოჯოხეთი იქნებით?***

— კიდევ გეუბნებით, მორწმუნე კაცი ვარ და ჯოჯოხეთი სხვანაირად მესმის, ნაციონალებს კი ჩემგან ბევრი უსიამოვნება ელოდებათ, ისევე, როგორც ჩემი მეგობარი და კოლეგა პატრიოტებისგან.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სიმონ ნოზაძე: „არჩევნებამდე იყო გადაწყვეტილი, რომ მრეწველები „ოცნებასთან“ კოალიციას შევქმნიდით“

## დეპუტატმა თანაფრაქციელების ვინაობა გაამხილა

შორენა მარსაგიშვილი

რატომ დაუთმო „ოცნებამ“ ფრაქციის შესაქმნელად მრეწველების დეპუტატს ხალხი, უკავშირდება თუ არა ეს ცესკოში დამატებითი ადგილის მოპოვებას, რაზე შეთანხმდნენ „ოცნება“ და მრეწველთა ლიდერები არჩევნების წინ? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველების“ თავმჯდომარე სიმონ ნოზაძე ესაუბრება.

***– თქვენ მიერ პარლამენტში ფრაქციის შექმნას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ერთ-ერთი ვერსიით, „ოცნება“ იმიტომ დაგეხმარათ, რომ ცესკოში დამატებითი ადგილი მიიღოს. თქვენ რას გვეტყვით?***

– კოალიცია „ქართული ოცნება“, რომლის შემადგენლობაში მრეწველებიც შედიოდნენ, რამდენიმე თვის წინ დაიშალა. პარტიის ლიდერებმა გოგი თოფაძემ და ზურაბ ტყემალაძემ მაშინვე განაცხადეს, რომ არჩევნებში დამოუკიდებლად მივიღებდით მონაწილეობას, ახალ კოალიციას კი პარლამენტში შესვლის შემდეგ შევქმნიდით. ჩემი აზრით, ეს სწორი მიდგომაა – კოალიციები პარლამენტში შესვლის მერე უნდა შეიქმნას, არჩევნებამდე კი მხოლოდ საარჩევნო ბლოკის შექმნაა რეკომენდებული.



აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ პარლამენტში შეიქმნა ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველები“. ისიც უნდა გითხრათ, რომ ბოლო წლებში როცა კოალიცია ეკონომიკურ საკითხებზე მუშაობდა, ამ საქმეში მრეწველები აქტიურად ვიყავით ჩართული. ჩვენ შორის წინააღმდეგობა პროგრამებს შორისაც კი არ არის. ამასთან, უცხო არც მე ვარ „ქართული ოცნებისთვის“.

***– რას ნიშნავს, უცხო არ ხართ „ქართული ოცნებისთვის“?***

– მე წლებია, რაც მრეწველების პარტიის წევრი ვარ. 2011 წელს მათთან ერთად მეც გავხდი კოალიცია „ქართული ოცნების“ შემადგენელი ნაწილი. 2012 წლის არჩევნებზე კოალიციის პოლიტსაბჭო ჩემს კანდიდატურასაც განიხილავდა ხაშურის მაჟორიტარად. საბოლოოდ მათ სხვა გადაწყვეტილება მიიღეს და სხვა კანდიდატი წარადგინეს.

***– საარჩევნო კომისიაში დამატებით ადგილზე რას იტყვით, რაზეც ოპონენტები საუბრობენ?***

– ფრაქცია ამ მიზნით არ შექმნილა, მაგრამ ვერანაირ ტრაგედიას ვერ ვხედავ იმაში, თუ „ოცნება“ ცესკოში კიდევ მიიღებს დამატებით ადგილს.

***– რატომ არ მიგაჩნიათ ეს ტრაგედიად?***

– რა მნიშვნელობა აქვს, ერთით მეტი ადგილი ექნება ხელისუფლებას თუ ნაკლები, არჩევნები მაინც დემოკრატიულად ტარდება.

***– ამაში ოპოზიციის დიდი ნაწილი არ დაგეთანხმებათ.***

– მათ აქვთ უფლება, არ დამეთანხმონ. ამ განცხადებას მე საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე ვაკეთებ. მე ვიყავი ოპოზიციონერი კანდიდატი და მოვიგე ეს არჩევნები. მაშინაც ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ, რომ ჩვენთან ხაშურში გაყალბებას ადგილი არ ჰქონია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩემი კონკურენტი „ოცნების“ წარმომადგენელი იყო.

***– 18 ნოემბერს თქვენ თავი შეიკავეთ იმ დეპუტატების ვინაობის გამხელისგან, რომლებთან ერთადაც ფრაქცია შექმენით. მათ ვინაობას ისევ ასაიდუმლოებთ?***

– აღარ ვასაიდუმლოებ. ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველების“ წევრები არიან სიმონ ნოზაძე, შოთა შალელაშვილი, ელგუჯა გოცირიძე, თემურ კოხრეიძე, ლევან ბეჟანიძე და თენგიზ ხუბულური.

***– რა პრინციპით შეარჩიეთ თანაფრაქციელები?***

– ისინი ძირითადად უპარტიოები არიან. მართალია, „ოცნებიდან“ იყარეს კენჭი, მაგრამ პარტიაში არ შესულან. ერთადერთი გამონაკლისი თენგიზ ხუბულურია.

***– პარლამენტის პირველ სხდომაზე ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა რურუამ განაცხადა, რომ სხდომათა დარბაზში საბჭოთა კავშირის აურა ტრიალებდა. თქვენც იგრძენით ეს აურა?***

– რურუას რამ გაახსენა საბჭოთა კავშირი, სიტყვით მე და რევაზ არველაძე რომ გამოვედით? ბატონი რევაზი უხუცესი დეპუტატია და პარლამენტის თავმჯდომარის არჩევამდე სხდომა უხუცესმა დეპუტატმა უნდა წაიყვანოს. არ ვარ მე ახალგაზრდა, მაგრამ ისეთი არაფერი მითქვამს, რომ ვინმეს საბჭოთა კავშირი გახსენებოდა.

***– მას თქვენი და რევაზ არველაძის გამოსვლის გამო არ გახსენებია საბჭოთა კავშირი. რურუას წარსული ერთპარტიულობამ გაახსენა.***

– სად არის მერე ერთი პარტია? პარლამენტში 3 პარტია მოხვდა. საკანონმდებლო ორგანოში ძალიან ბევრია ახალგაზრდა დეპუტატი, რომლებსაც განათლება დასავლეთში აქვთ მიღებული და თავისუფლად აზროვნებას არიან შეჩვეული.

ჩემი აზრით, ამაზე პროგრესულად მოაზროვნე პარლამენტი საქართველოს ჯერ არ ჰყოლია და შედეგებსაც შესაბამისს ველოდები. ასე რომ, იქ ისეთი არაფერი ყოფილა, ვინმეს საბჭოთა კავშირი გახსენებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალები შეეცადნენ, სიტუაცია დაეძაბათ, მთლიანობაში, პირველ სხდომას დადებით შეფასებას ვაძლევ. მგონია, რომ საქმიანი თანამშრომლობა შედგება, კრიტიკას კი გაგებით ვეკიდები. სადაც დემოკრატიაა, იქ კრიტიკაც უნდა იყოს.

***– თქვენ აღნიშნეთ, რომ ასეთი პროგრესულად მოაზროვნე პარლამენტი საქართველოს არ ჰყოლია. საკონსტიტუციო უმრავლესობას ბევრი შიშით უყურებს. თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე?***

– ფაქტია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო საკონსტიტუციო უმრავლესობა და ამაზე უარს ხომ არ იტყოდა. არჩევნები რომ გაყალბებულიყო, კიდევ რაღაც იქნებოდა სათქმელი. მე ჩემი ოლქიდან გამომდინარე ვერ ვიტყვი, რომ არჩევნები გაყალბდა.

***– თუმცა თქვენს ოლქშიც იყო რაღაც პრობლემები.***

– რაღაცები იყო, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან არანაირი ზეწოლა არ ყოფილა. ხალხისთვის არავის უთქვამს, გინდა თუ არა, ხმა სახელისუფლებო კანდიდატს მიეციო.

პრობლემები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა შექმნეს. პარტიის ადგილობრივი ორგანიზაცია ჩემი კონკურენტის სასარგებლოდ მუშაობდა. მათი კანდიდატი იყო და აბა, ჩემზე ხომ არ იმუშავებდნენ.

***– თქვენი ფრაქცია რა მიმართულებით იაქტიურებს პარლამენტში?***

– „ოცნება“ მრეწველობისა და თავისუფალი ეკონომიკის განვითარებას უჭერს მხარს. აქედან გამომდინარე, ჩვენი ფრაქცია იმაზე იმუშავებს, რომ საქართველოში მართლაც განვითარდეს მრეწველობა. ამ მიმართულებით საკანონმდებლო ინიციატივებიც გვექნება. ჩვენს ფრაქციაში გამოცდილი ბიზნესმენები არიან და ამ მიმართულებას კარგად იცნობენ. ამის გარდა, მჭიდრო კავშირი მექნება ჩვენი პარტიის ლიდერებთანაც.

# საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეების მოადგილეებს დღეს აირჩევენ

საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეების მოადგილეებს დღეს, 21 ნოემბერს აირჩევენ.

დღეს 14 კომიტეტის სხდომაა დანიშნული, რომლის შემდეგ ბიუროს სხდომა გაიმართება.

„ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი კვოტით საკომიტეტო თანამდებობებზე წარსადგენი პირები ახალარჩეული პარლამენტის შეკრებამდე დაასახელა. საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან მოადგილეების თანამდებობაზე შემდეგი კანდიდატები არიან დასახელებული:

აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე – გელა სამხარაული, მოადგილე – ირაკლი შიოლაშვილი;

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე – გენადი მარგველაშვილი, მოადგილე – გუგული მაღრაძე;

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე – ზაზა ხუციშვილი, მოადგილე – ენძელა მაჭავარიანი;

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე – გიორგი ბეგაძე, მოადგილე – რევაზ არველაძე;

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე – სალომე ზურაბიშვილი, მოადგილე – ირაკლი მეზურნიშვილი;

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე – ირინა ფრუიძე, მოადგილე – ბექა ნაცვლიშვილი;

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე – ვანო ზარდიაშვილი, მოადგილე – დავით მათიკაშვილი;

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე – ნინო გოგუაძე, მოადგილე დიმიტრი ცქიტიშვილი;

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე – გურამ მაჭარაშვილი, მოადგილე – შალვა კიკნაველიძე;

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე – პაატა კვიჟინაძე, მოადგილე – ირაკლი ბერაია;

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე – დიმიტრი ხუნდაძე, მოადგილე – ლევან კობერიძე;

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის



პირველი მოადგილე – გედევან ფოფხაძე, მოადგილე – რატი იონათამიშვილი;

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე – შოთა ხაბარელი, მოადგილე – ბიძინა გეგიძე.

ამასთან, ინტერპრესნიუსის ინფორმაციით, „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის საპარლამენტო კომიტეტის ფორმირებასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში ცვლილებები შეიტანა.

აღნიშნული კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე „ქართულმა ოცნებამ“ თავდაპირველად მერაბ ქვარაია დასახელდა, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება შეიცვალა და კომიტეტის პირველი მოადგილის თანამდებობაზე ირაკლი ტრიპოლსკის წარადგენენ, რაც თავად ტრიპოლსკის მოთხოვნის გათვალისწინებით მოხდა.

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დასახელებულია კობა ლურსმანაშვილი.

პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, კომიტეტი, თავის წევრთაგან, საკუთარი უფლებამოსილების ვადით, ღია კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს კომიტეტის თავმჯდომარის სამ მოადგილეს, მათ შორის, პირველ მოადგილეს.

კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის კანდიდატურას კომიტეტის თავმჯდომარე წარადგენს. კომიტეტის თავმჯდომარის ერთი მოადგილის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს უმრავლესობას, ხოლო ერთი მოადგილისა – უმცირესობას ან ფრაქციას, რომელიც არ არის გაერთიანებული უმრავლესობაში.

**ინტერპრესნიუსი**

# მინისტრთა კაბინეტის წარდგენამ ერთი დღით გადაიწია

პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი კვირიკაშვილი მინისტრთა კაბინეტის მომავალ წევრებს 22 ნოემბერს წარადგენს.

საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ პრეზიდენტმა პარლამენტს ქვეყნის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე გიორგი კვირიკაშვილის კანდიდატურა წარუდგინა.

მინისტრთა კაბინეტის მომავალი წევრების წარდგენა დღეს, 21 ნოემბერს იგეგმებოდა.



# ირაკლი სესიაშვილი: „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განახლებაა საჭირო“



– ალბათ, უახლოეს ხანებში დადგება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განახლების საჭიროება. პრეზიდენტის მხრიდან უშიშროების ერთიან სტრატეგიაზე აქცენტის გაკეთება, ალბათ, უფრო უკეთესის სურვილს უკავშირდება და არა იმას, რომ ასეთი სტრატეგია არ გვაქვს.

ამის შესახებ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა მე-9 მოწვევის პარლამენტის პირველ სხდომაზე პრეზიდენტის მიერ გამოთქმული ეროვნული უშიშროების ერთიანი სტრატეგიის შემუშავების ინიციატივის შეფასებისას განაცხადა.

როგორც სესიაშვილმა აღნიშნა, ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფცია მუდმივად განახლებადია.

– ზოგადად უსაფრთხოების არქიტექტურა მუდმივად საჭიროებს რეფორმირებას. ეს არ არის სტატიკური მდგომარეობა – მიაღწიე და კმაყოფილი დარჩი. ამიტომ, ცხადია, ჩვენ ყოველწლიურად ვახდენთ საფრთხეების შეფასებას, ვახდენთ სამხედრო სტრატეგიის გადახედვას.

ალბათ, უახლოეს ხანებში დადგება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განახლების საჭიროება. რაც შეეხება საერთო ეროვნული სტრატეგიის ჩამოყალიბებას, ეს სხვადასხვა დოკუმენტში აღწერილია. უბრალოდ, საჭიროა, კომპლექსურად დავინახოთ, – განაცხადა სესიაშვილმა.

როგორც თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ აღნიშნა, არსებული სტრატეგია მეტ-ნაკლებად პასუხობს საფრთხეებს.

◆ ◆ ◆



მე-9 მოწვევის პარლამენტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ეროვნული უშიშროების ერთიანი სტრატეგიის შემუშავების ინიციატივით გამოვიდა.

გიორგი მარგველაშვილი გლობალური პოლიტიკური კონტექსტიდან, ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევებიდან და შავი ზღვის რეგიონში შეცვლილი უსაფრთხოების გარემოდან გამომდინარე, საჭიროდ მიიჩნევს, შემუშავდეს ეროვნული უშიშროების ერთიანი სტრატეგია.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა კომპლექსური საკითხია, რისთვისაც აუცილებელია ხელისუფლების ყველა შტოს ჩართულობა და ერთიანი სტრატეგიის ჩამოყალიბება.

**ინტერპრესნიუსი**

# თამარ ჩუგოშვილი: „რუსთავი 2-ის სასამართლო არჩევნებიდან ასე სწრაფად, ჯობდა, არ ჩანიშნულიყო“



– ვისურვებდი, რუსთავი 2-თან დაკავშირებული სასამართლო პროცესი არჩევნებიდან ასე სწრაფად არ ჩანიშნულიყო.

ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის პირველმა ვიცესპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა განუცხადა.

– ამ საკითხთან ბევრი ემოციური დამოკიდებულება და ღელვაა დაკავშირებული. ამიტომ ვისურვებდი, რომ სასამართლოს სხდომა ასე მალე არ ჩანიშნულიყო, მაშინ, როცა ჩვენ ვართ მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების პროცესში, თუმცა ეს სასამართლოს კომპეტენციაა. როცა ის ჩათვლის საჭიროდ, მაშინ ნიშნავს სხდომას და იღებს გადაწყვეტილებებს. ეს მთლიანად სასამართლოს უფლებამოსილებაა, – აღნიშნა თამარ ჩუგოშვილმა.

გუშინ, 20 ნოემბერს, პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებთან ერთად პირველი ოფიციალური შეხვედრა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწე ბრიჯიტ ბრინკთან გამართა.

პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტში გამართულ შეხვედრაში მონაწილეობდნენ პარლამენტის პირველი ვიცესპიკერი თამარ ჩუგოშვილი, უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელი სოფო ქაცარავა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე თამარ ხულორდავა.

შეხვედრას აშშ-ის ელჩი საქართველოში იან კელი ესწრებოდა.

– პირველ რიგში, ჩვენ ვისაუბრეთ საქართველოსა და აშშ-ის თანამშრომლობის მნიშვნელობასა და მის გაღრმავებაზე. ბევრ სხვა საკითხთან ერთად, ვისაუბრეთ იმაზე, რომ თავისუფალი მედია და გამოხატვის თავისუფლება ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ჩვენ ვართ საერთო აზრზე, რომ დემოკრატიული ქვეყანა თავისუფალი მედიის გარეშე ვერ იარსებებს, – განუცხადა ჟურნალისტებს თამარ ჩუგოშვილმა.

# ანზორ აბრალავა: „სააკაშვილი უკრაინისთვისაც პრობლემაა“

## „ბოკერია სააკაშვილისებრთა ოჯახის ერთ-ერთი სახეა“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას

***– წინა 4 წლის განმავლობაში პოლიტიკურ დღის წესრიგს ქვეყანაში ნაციონალური მოძრაობა ადგენდა, „ქართული ოცნება“ კი ნაციონალების წინაშე თავის მართლებაში იყო. შეიცვალა ამ მხრივ რაიმე?***

– წინა წლებში, მართლაც, ვიყავით იმის მომსწრე, რომ უმძიმესი სისტემური დანაშაულების ჩამდენი პარტია სხვებს ესხმოდა თავს. ახალი პარლამენტის პირველ სხდომაზე ნაციონალები ნირწამხდარი და გაკოტრებული ჩანდნენ. სადღაც გაქრა მუქარები და ადრინდელი ელვარება. მათი არაფორმალური ლიდერი, სხვა ქვეყნის მოქალაქე მძიმე დღეშია ჩავარდნილი. არაერთხელ მითქვამს, რომ სააკაშვილი გახდებოდა პრობლემა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ, უკრაინისთვისაც. როგორც იქნა, მისი ნამდვილი სახე და ფსიქიკური მდგომარეობა დაინახეს უკრაინაში. იქ დარწმუნდნენ, რომ ის საქმის გამკეთებელიც არ არის.

***– უკრაინისგან განსხვავებით, სააკაშვილს საქართველოში მხარდამჭერები ჰყავს.***

– ნაციონალურმა მოძრაობამ რომ არჩევნებზე ხმები მიიღო, ამას თავისი მიზეზები აქვს. ნაციონალებს უმეტესობამ მხარი დაუჭირა, პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე. მატერიალურად ბევრი ადამიანია ამ პარტიაზე მიბმული.

***– არიან ისეთებიც, რომლებიც სააკაშვილს აღმაშენებლად მიიჩნევენ.***

– ადამიანები თავისუფალი არიან აზრის გამოთქმაში, მათ შორის ისინიც, ვისაც ფსიქიკური პრობლემები აქვს. კიდევ არსებობენ სააკაშვილის მოწინააღმდეგეები, რომლებიც სხვა ნაციონალებს აქებენ. ეს ნაციონალები სააკაშვილს გაემიჯნნენ. გიგა ბოკერია სახელდება პოლიტიკური ელიტის ინტელექტუალურ წარმომადგენლად. საინტერესოა, ბოკერია არ იყო სააკაშვილის სისტემის აქტიური წევრი? გიგა ბოკერია სააკაშვილისებრთა ოჯახის ერთ-ერთი სახეა.

***– შესაძლებელია, რომ უკრაინამ ძებნილი სააკაშვილი საქართველოს გადმოსცეს?***

– შესაძლებელია. სააკაშვილი ტრაბახობს, რომ თბილისის აეროპორტში 700.000 მხარდამჭერი დახვდება. აქ თუ ფეხი შემოდგა, შეიძლება, 7 კაციც არ დახვდეს. მათ შორის, სანდრა რულოვსი. სააკაშვილის პოლიტიკური კარიერა დამთავრდა საქართველოშიც და უკრაინაშიც. მისი ბოლო ციხე ან ფსიქიატრიული კლინიკაა. ალბათ, ადრე თუ გვიან გაამწესებენ ფსიქიატრიულში.



„ახალი ძალები მაშინ გაჩნდება, როცა საზოგადოების მოთხოვნა იქნება“

***– ნაციონალებს რევოლუციური გეგმები რატომ ჩაეშალათ?***

– მცდელობა ბევრი ჰქონდათ. რევოლუციისთვის საჭიროა არეულობა. არეულობის მოწყობას ხალხი უნდა. ხან რომელი საბაბით ეცადნენ საზოგადოების ქუჩაში გამოყვანას, ხან რომლით. არჩევნებამდე ორიოდე დღით ადრე გივი თარგამაძის მანქანა აფეთქდა. კარგად ვიცნობ სააკაშვილის ფსიქოტიპს. დარწმუნებული ვარ, მან ეს ჩაიფიქრა გამვლელის ან რამდენიმე გამვლელის დაღუპვის მიზნით. სააკაშვილმა ამ აქტით გივი თარგამაძეც გაწირა. გათვალა იყო იმაზე, რომ საზოგადოებას ააღელვებდა შემთხვევითი ადამიანების აფეთქება. ბევრი განეწყობოდა ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს ჩანაფიქრი ვერ შესრულდა. თუ მოვლენათა განვითარებას დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ ნაციონალების ჯგუფი სააკაშვილს ამის შემდეგ მკვეთრად გაემიჯნა.

***– „ქართულ ოცნებას“ ამ არჩევნების შემდეგ დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრა. შეძლებს ის ამ ტვირთის ზიდვას?***

– ქვეყანას მძიმე გზა აქვს გასავლელი. არსებობს ბევრი შიდა და გარე პრობლემა, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა მძიმეა. იმედია, „ქართული ოცნება“ შეძლებს მდგომარეობის გამოსწორებას. გაუგებარია ვაი-ვიში იმაზე, რომ მმართველ პარტიას საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს პარლამენტში და ეს არადემოკრატიულია. რატომ არის არადემოკრატიული? ესაა ხალხის გადაწყვეტილება და არჩევანი. შექმნილი რეალობა უნდა მივიღოთ. ხელისუფლებას დასჭირდება სტრატეგიული განვითარების კონცეფცია. მასში სხვადასხვა შესაძლო სცენარი უნდა აისახოს. დოკუმენტში იქნება საიდუმლო დეტალები. ისე არ უნდა მოხდეს, როგორც თინა ხიდაშელის შემთხვევაში. ის საქვეყნოდ აცხადებდა, რომ საიდუმლო შეთანხმებების გასაფორმებლად მიდიოდა საფრანგეთში. წინა პლანზე ყოველთვის უნდა იყოს ქვეყანა და მისი სახელმწიფოებრივი ინტერესები.

***– „ქართული ოცნება“ პოლიტიკაში მარტო ვერ იქნება.***

– არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე ვამბობდი, რომ პოლიტიკური ველი თითქმის ცარიელია. ასპარეზზე ჩანდნენ „ქართული ოცნება“ და დამნაშავე ნაციონალური მოძრაობა. სხვები მხოლოდ ხმაურობდნენ. არჩევნების შემდეგ ეს უფრო აშკარა გახდა, როცა ამომრჩეველმა არაფრისმაქნის, არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე და გარიგებების მოყვარულ პარტიებს თავიანთი ადგილი მიუჩინა. ლევან ბერძენიშვილი ახლა ამბობს, რომ დავით უსუფაშვილი თანამდებობაზე ყოფნისას ატარებდა ქვეყნის და არა რესპუბლიკური პარტიის ინტერესებს. ეს არის პოლიტიკური ლიდერის განცხადება? ეს ობივატელის აზრია. კარგია, რომ ხალხმა ასეთ პარტიებს განაჩენი გამოუტანა. ცუდია, რომ ისინი ფინანსდებიან. პოლიტიკური ორგანიზაციები სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ანუ ჩვენი ჯიბეებიდან არ უნდა ფინანსდებოდნენ. ახალი სუბიექტების გამოჩენას ახალი იდეები უნდა. მთავარია, ხალხში ამ იდეებზე მოთხოვნა იყოს. ახალი ძალები მაშინ გამოჩნდებიან, როცა საზოგადოების მოთხოვნა იქნება. იმ გაკოტრებული პოლიტიკოსების არ მესმის, პარტიიდან რომ გამოდიან და პოლიტიკაში რჩებიან. ადგნენ და თავიანთი პროფესიით იმუშაონ! მეც აღარ ვარ აქტიურ პოლიტიკაში და სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას ვეწევი.

***– აქამდე რატომ არ გაჩნდა მოთხოვნა ახალ ძალებზე?***

– ამის ერთ-ერთი მიზეზი ხალხის დეზორიენტაციაა. ამას აკეთებს სატელევიზიო მედია. სააკაშვილის არხი რუსთავი 2, გარდა პარტიული პროპაგანდისა, ხალხს ტვინს ურეცხავს ყალბი ფასეულობებით. ტელევიზიის ხელმძღვანელი გვარამია პროკურორობიდან გარდაიქმნა სააკაშვილის პირად პიარმენეჯერად და შოუმენად. სხვადასხვა არხის სატელევიზიო გადაცემებში დასცინიან ზნეობას, მტკიცე ოჯახებს, ნამდვილ ღირებულებებს. მიწვეულ სტუმართა წრე შეზღუდულია პოლიტიკურ ტოკშოუებშიც. ასეთ დროს ძნელია ახალ იდეებზე საუბარი. საქართველოში თავისუფალი მედიაც არის, პატიოსანი და ნიჭიერი ჟურნალისტებიც არიან, მაგრამ ისინი საჯარო სივრცეში არ ჩანან. ამერიკელი ამომრჩეველიც დაუპირისპირდა ყალბ და უკუღმართ ფორმულირებებს. ამიტომ აირჩიეს დონალდ ტრამპი. ხალხის უმრავლესობას ამერიკაშიც და სხვაგანაც არა ჰგონია, რომ ჰომოსექსუალიზმი ძალიან კარგია და ამის აფიშირება უნდა მიმდინარეობდეს. ადამიანებს მობეზრდათ, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინების მოწინააღმდეგეებს ჩამორჩენილებად და დამნაშავეებად აცხადებენ.

# თიბისი ბანკისა და ჯეოსელის რჩეული ბანაკი „ზეთა“ გახდა

თბილისის ისტორიის მუზეუმ „ქარვასლაში“ თიბისი ბანკისა და ჯეოსელის ერთობლივი პროექტის „ბიზნესდაჯილდოება 2016“-ის ფინალური ღონისძიება გაიმართა, სადაც სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულების ვინაობა გახდა ცნობილი.

ორგანიზატორებთან ერთად, დაჯილდოების ცერემონიას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, მთავრობისა და ბიზნესის წარმომადგენლები, ასევე „ბიზნესდაჯილდოება 2016“-ში მონაწილე კომპანიები დაესწრნენ.

დამოუკიდებელმა კომისიამ გამარჯვებულები გამოავლინა შემდეგ ნომინაციებში: „წლის ბიზნესი“, „წლის ტურისტული ბიზნესი“, „წლის ინოვაციური ბიზნესი“, „წლის აგრობიზნესი“, „წლის ქართული პროდუქტი“ და „წლის მცირე ბიზნესი“.

პროექტის ორგანიზატორთა თქმით, „ბიზნესდაჯილდოება“ ქვეყანაში ბიზნესის კეთების პოპულარიზაციას, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერასა და დამწყები მეწარმეების წახალისებას ისახავს მიზნად. მსგავსი პროექტი ერთჯერადი ხასიათის არ იქნება და მომდევნო წლებშიც გაიმართება.

ინტერესი წელსაც დიდი იყო – „ბიზნესდაჯილდოება 2016“-ში მონაწილეობის მისაღებად 523 კომპანია დარეგისტრირდა.

მრავალფეროვანი იყო ის სფეროები, რომელთა წარმომადგენლებიც აღნიშნულ ბიზნესდაჯილდოებაში მონაწილეობენ: წარმოება, სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესი, ელექტრონული კომერცია, ტექნოლოგიები, აგრობიზნესი, ტურისტული, გასართობი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრები, ხელნაკეთი ნივთები, აქსესუარები, ტანსაცმლის დიზაინი და სხვა.

პროექტი 20 ივნისს დაიწყო და რამდენიმე ფაზისგან შედგებოდა. საწყის ეტაპზე 523 კომპანია დარეგისტრირდა, შემდეგ კი კვალიფიციურმა კომისიამ თითოეულ ნომინაციაში 3-3 ფინალისტი გამოავლინა. მათგან გამარჯვებული „ქარვასლაში“ გაცხადდა.




წლის ტურისტული ბიზნესის ნომინანტები იყვნენ რესტორანი „ბარბარესთან“, რაფთინგ.გე და ბანაკი „ზეთა“. გამარჯვებული გახდა რესტორანი „ბარბარესთან“.

წლის ინოვაციური ბიზნესის ნომინანტებს შორის „ბიოქიმფარმმა“ გაიმარჯვა, რომელმაც სხვა ნომინანტებს, სადილი.გე-სა და „რობოსითს“ აჯობა.

წლის აგრობიზნესში გასამარჯვებლად ბი-პი-სი, „სოფლიდან“ და „დაბი“ იბრძოდნენ. გამარჯვებული ბი-პი-სი გახდა.

წლის ქართული პროდუქტის ნომინაციის გამარჯვებული გახდა „ბადაგი“, რომელსაც კონკურენციას „კინგსი საქართველოდან“ და „მორიზლავი“ უწევდნენ.

წლის მცირე ბიზნესის ნომინაცია „ვაითსტუდიომ“ მოიგო, რომელმაც „ფოტორატორსა“ და „ლიმერის“ აჯობა.

ნომინაციაში „ხალხის რჩეული“ „კინგსი საქართველოდან“ გახდა. ამ კომპანიამ ონლაინ ხმის მიცემით ყველაზე მეტი ხმა დააგროვა.

ყველაზე პრესტიჟული „წლის ბიზნესი 2016“-ის ტიტული ბანაკმა „ზეთამ“ მოიპოვა.

ბიზნესდაჯილდოება მომავალ წელსაც გაიმართება და მას კიდევ ბევრი საინტერესო სიახლე დაემატება.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# რა არის დენის საათობრივი მრიცხველი და როდის დაინერგება საქართველოში

„ჭკვიანი მრიცხველი“ – პროექტი, რომელიც ელექტროენერგიის სფეროში საათობრივი ვაჭრობის ინფრასტრუქტურის დანერგვას გულისხმობს, ბოლო პერიოდში პოლიტიკური სპექტრის, უფრო მეტად კი ოპოზიციური პარტიების კრიტიკის საგნად იქცა.

„ჭკვიან“, იმავე სმარტ მრიცხველებთან დაკავშირებით ოპოზიციის შეფასება ერთგვაროვანია, რომ ენერგეტიკის სამინისტროს ინიციატივის მიზანი მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდაა.

◆ ◆ ◆

ამ ტიპის მრიცხველი დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთში მოხმარებული ენერგიის სხვადასხვა ტარიფით დათვლის საშუალებას იძლევა. წინასწარი ვერსიით, დღის განმავლობაში დენის ტარიფი შედარებით მაღალი იქნება, ვიდრე ღამით.

„ფაქტ-მეტრთან“ ინტერვიუში ნაციონალმა ბადრი ბასიშვილმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნებამდე არ ახმაურებდა ამ თემას, მაგრამ ახლა უკვე დაიწყეს საუბარი პროექტზე, რომელიც ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდას გულისხმობს.

– ეს ირიბად ენერგეტიკის სამინისტროშიც დაადასტურეს. საქართველოს მოსახლეობას ეკონომიკურად ძალიან უჭირს და ამგვარი ცვლილებები – ძვირად ღირებული ჭკვიანი მრიცხველების დამონტაჟება და გადახდის ახალ სისტემაზე გადასვლა კიდევ უფრო მძიმე ტვირთად დააწვება მოსახლეობას, – განაცხადა ბადრი ბასიშვილმა.

ენერგეტიკის სამინისტროში დანამდვილებით არ იციან, რამდენი წელი დასჭირდება ცვლილების განხორციელებას, თუმცა ამბობენ, რომ პროექტის მომზადების პროცესი უკვე დაწყებულია და მის სავარაუდო ღირებულებად 100-120 მილიონი დოლარი მოიაზრება.

უწყებაში განმარტავენ, რომ მრიცხველების დამონტაჟების საფასური ეტაპობრივად გადანაწილდება და ელექტროენერგიის ტარიფში აისახება.

ენერგეტიკის სამინისტროში სკეპტიკოსთა აზრს არ იზიარებენ და განმარტავენ, რომ ენერგეტიკის სფეროს ლიბერალიზაცია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, რომელიც აუცილებლად უნდა განხორციელდეს.

უწყების ენერგეტიკული დეპარტამენტის ხელმძღვანელ დავით შარიქაძის განცხადებით,



**მოსახლეობას ექნება 2 ტიპის, დღე-ღამის ტარიფი და თავად მოახდენს ხარჯების ოპტიმიზაციას**

„ჭკვიანი მრიცხველების“ სისტემამ ყველა განვითარებულ ქვეყანაში წარმატებით იმუშავა და რადგანაც ჩვენ ვიბრძვით, გავხდეთ ამ სამყაროს ღირსეული წევრები, მოგვიწევს რაღაცის ხარჯზე, თუნდაც ეს იყოს ელექტროენერგიის ტარიფის ზრდა, დავნერგოთ ასეთივე პროგრამა.

– არ ვამბობთ, რომ ტარიფები არ გაიზრდება, მაგრამ სისტემა გააზრებულად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პარალელურად უნდა დაინერგოს, – ამბობს დავით შარიქაძე.

◆ ◆ ◆

პროექტს ევროკავშირის წინაშე ნაკისრ ვალდებულებას უწოდებენ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაშიც და ამბობენ, რომ ევროკავშირის ერთ-ერთი მოთხოვნა ქვეყანაში ენერგოეფექტურობის დანერგვაა და ამ მიზნით რამდენიმე წელიწადში ყველა ევროპული ქვეყანა სმარტ მრიცხველების მოხმარების სისტემაზე უნდა გადავიდეს.

სემეკში ფიქრობენ, რომ პროექტმა ყველა ქვეყანაში ეფექტური შედეგი აჩვენა, თუმცა საქართველოში მის განხორციელებას რამდენიმე წლის პერსპექტივაში მოიაზრებენ.

– „ჭკვიანი მრიცხველების“ პროექტი სარგებლიანია, რადგან დიდი რაოდენობით ელექტროენერგიის დაზოგვის საშუალებას იძლევა, მაგრამ საქართველოში მისი განხორციელება 2 ან 3 წელიწადში წარმოუდგენელია. პროექტი ძალიან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ეს კი ტარიფზეც მნიშვნელოვნად აისახება; ამიტომაც, ამას სჭირდება ძალიან გააზრებული ნაბიჯები, უნდა შემუშავდეს პროექტის განხორციელების გეგმა და ყველა ის რეგულაცია, რაც ტარიფის ცვლილებას უკავშირდება, რათა ცვლილებამ მოსახლეობაც არ დააზარალოს, – განაცხადა სემეკის ელექტროენერგეტიკული დეპარტამენტის დირექტორმა ნუგზარ ბერიძემ.

ქვეყნის ეკონომიკურ მზაობასა და ელექტროენერგიის მოხმარების ხსენებულ სისტემაზე გადასვლას შორის კავშირს ვერ ხედავენ ეკონომისტები და ფიქრობენ, რომ მოდელი განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ ქვეყნებში ერთნაირად იმუშავებს.

ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კვლევითი ცენტრის მკვლევარ ლევან ფავლენიშვილის თქმით, ტარიფის ზრდის მიუხედავად, აღნიშნული ტექნოლოგიის დანერგვა ქვეყნისთვის მომგებიანი იქნება.

– ჩემთვის გაუგებარია, რატომ უნდა მოვიცადოთ, როცა შეგვიძლია, ამ ტექნოლოგიის დანერგვით რაც შეიძლება მალე მივიღოთ სარგებელი. ელექტროენერგიის მიწოდებისა და შესყიდვის თანამედროვე სისტემით მოსახლეობას ტარიფი გაეზრდება, მაგრამ ელექტროენერგიის ხარჯის შემცირების სხვა გზა მიეცემა, რაც გულისხმობს, რომ ექნება ორი ტიპის, დღე-ღამის ტარიფი და თავად მოახდენს ხარჯების ოპტიმიზაციას და ელექტროენერგიას დაბალი მოხმარების პერიოდში მოიხმარს, – განაცხადა ფავლენიშვილმა.

◆ ◆ ◆

ტარიფის ზრდა რომ გარდაუვალია, ამაზე ენერგეტიკის სამინისტრო, სემეკი და ექსპერტები ერთხმად თანხმდებიან, თუმცა, ვინაიდან პროექტი სამომავლო პერსპექტივად მოიაზრება, იმაზე, რამდენით გაიზრდება ტარიფი და როგორ აისახება ეს მოსახლეობის ბიუჯეტზე, დანამდვილებით ვერავინ საუბრობს.

ენერგეტიკის სამინისტროში განმარტავენ, რომ „ჭკვიანი მრიცხველები“ თავდაპირველად დიდ საწარმოებში დაინერგება, შემდეგ კი, როცა ელექტროენერგიის დაანგარიშების მოდელი შემუშავდება, პროექტი მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელდება და მოსახლეობა დიფერენცირებული ტარიფის ნაცვლად, საფასურის საათობრივად გადახდის სისტემაზე გადავა და დღე-ღამის განმავლობაში სხვადასხვა ღირებულების ელექტროენერგიას მოიხმარს.

**კომერსანტ.გე**

## ახმეტაში წარმოებული ეთერზეთები ექსპორტზე ევროპის ქვეყნებში გავა

კომპანია „აგრო არომა“ ეთერზეთებისა და ცხოველების, ფრინველებისა და თევზის საკვების წარმოებას გეგმავს.

როგორც კომპანიის დირექტორმა ზურაბ ნაცვლიშვილმა ბიზნესპრესნიუსთან საუბრისას თქვა, საწარმო ახმეტაში მომავალი წლის აგვისტო-სექტემბერში ამოქმედდება.

– ამ ეტაპზე ტერიტორიის დასუფთავება და მოწყობა მიმდინარეობს. პროდუქცია ბაზარზე უკვე 2017 წლის შემოდგომისთვის გამოჩნდება. ეთერზეთები 100%-ით ექსპორტზე იქნება ორიენტირებული. რაც შეეხება ცხოველების, ფრინველებისა და თევზის საკვებს, ეს პროდუქცია ადგილობრივ ბაზარზეა გათვლილი, – ამბობს ნაცვლიშვილი.

მისივე თქმით, პროდუქციის გატანა საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისსა და ავსტრიაში იგეგმება.

ნაცვლიშვილი აღნიშნავს, რომ პირველ ეტაპზე ეთერზეთები მხოლოდ ქინძის თესლისგან დამზადდება. ნედლეულის შეძენა კი ადგილობრივი ფერმერებისგან მოხდება.

საწარმოში, სადაც 60-70 ადამიანი დასაქმდება, წლიურად 6 ტონა ეთერზეთისა და 1.000 ტონა საკვების წარმოება იგეგმება.

პროექტის ღირებულება დაახლოებით 1 მილიონი დოლარია.

## საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა გაგრძელდება

ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა გაგრძელდება.

– ცვლილებები იქნება და ეს ცვლილებები მიმართული იქნება იმისკენ, რომ არსებული რესურსები კიდევ უფრო ეფექტურად იყოს გამოყენებული და მათთვის, ვისაც ყველაზე უფრო მეტად სჭირდება მიწვდომადობა, იმავე მედიკამენტების, ხარისხიანი ჯანდაცვის კუთხით, ეს მიწვდომადობა გაეზარდოთ. ცვლილებები იქნება რამდენიმე მიმართულებით, თუმცა ყველა მათგანის ამოცანა იქნება, რომ უფრო მეტი შედეგი მიიღოს მოსახლეობამ არსებული ბიუჯეტის ფარგლებში, – განაცხადა დავით სერგეენკომ.

# „ტყიბულის მაღაროს, ქვეყანაში არსებულ მაღაროებთან შედარებით, ყველაზე სერიოზული გაუმჯობესება აქვს“

შრომის ინსპექციის მიმართ სკეპტიკური განწყობები ბიზნესს ამ ორგანოს შექმნამდე ჰქონდა – მათ ბიზნესისთვის დამატებითი რეგულაციების შემოღება არ მოსწონდათ, თუმცა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა მოკლე ხანში დაამტკიცა, რომ ის ბიზნესისთვის პრობლემას არ წარმოადგენს, პირიქით – თავისი რეკომენდაციებით კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებს დაეხმარება, სამუშაო გარემო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოაწყონ. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია კომპანია „საქნახშირი“, რომლის ხელმძღვანელობას შრომის ინსპექციამ 2016 წლის მარტში წარუდგინა რეკომენდაციების ნუსხა. ამ ფაქტს წინ უძღოდა ტყიბულელი მაღაროელების მოთხოვნა, რომლებიც კომპანიაში შრომის პირობების გაუმჯობესებას ითხოვდნენ. კომპანიის ხელმძღვანელობამ დაუყოვნებლივ დაიწყო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა არსებული პრობლემების გადასაჭრელად. შრომის უსაფრთხოების ინსპექტირების დეპარტამენტში დადებითად აფასებენ „საქნახშირის“ მიერ ტყიბულელ მაღაროელთა სამუშაო გარემოს გაუმჯობესებისთვის შესრულებულ სამუშაოებს და აცხადებენ, რომ, მათ ხელთ არსებული სტატისტიკის მიხედვით, ამ თვალსაზრისით ტყიბულის მაღაროს, ქვეყანაში არსებულ მაღაროებთან შედარებით, ყველაზე სერიოზული გაუმჯობესება აქვს.

**„კომპანია „საქნახშირის“ მიმართ ჯანდაცვის სამინისტრომ 40-მდე რეკომენდაცია გასცა. ჩვენი ინფორმაციით, მათი დიდი ნაწილი ამ დროისთვის შესრულდა, ხოლო დანარჩენი ვალდებულებების შესრულება ეტაპობრივად მიმდინარეობს. საერთო ჯამში, კომპანიამ არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად და უსაფრთხოების ნომრებისა და სტანდარტის ასამაღლებლად300 ათას ლარზე მეტი დახარჯა. ჩემს ხელთ არსებული სტატისტიკის მიხედვით, ამ თვალსაზრისით ტყიბულის მაღაროს, ქვეყანაში არსებულ მაღაროებთან შედარებით, ყველაზე სერიოზული გაუმჯობესება აქვს,“** – აცხადებს შრომის პირობების უსაფრთხოების ინსპექტირების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ლევან ჟორჟოლიანი.

„საქნახშირის“ ადმინისტრაცია განმარტავს, რომ ამ დროისთვის კომპანიამ ნაკისრი ვალდებულებების უმეტესი ნაწილი შეასრულა, გრძელვადიანი პროექტების განხორციელება კი ჯერ კიდევ მიმდინარეობს გრაფიკის მიხედვით.

**– კომპანია „საქნახშირმა“, საქართველოს პროფკავშირთან და ჯანდაცვის მონიტორინგის სამსახურთან ერთად, მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა. ყველა თანამშრომელს დაურიგდა შრომითი ხელშეკრულებებისა და შინაგანაწესის ახალი ვარიანტი. მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა სალიანდაგე მეურნეობის წესრიგში მოსაყვანად. 5 თვეში მთლიანად შეიცვალა 836 გრძივი მეტრი სარკინიგზო ხაზი; გაიწმინდა და მოწესრიგდა მაღაროს ეზო; მოეწყო განათება და სხვ. დასრულდა წლის დასაწყისში დაგეგმილი კეთილმოწყობითი სარემონტო სამუშაოები საწარმოო უბნებზე; განათებისა და სავენტილაციო სისტემის მოწყობა. ზედაპირულ კომპლექსში დადგმულია აბაზანები, მოწყობილია საშრობი დანადგარი, შესაძლებელია მტვერზე კონტროლი. ამ ეტაპისთვის დასრულებულია საწარმოს შიდა პერიმეტრზე სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა. დასრულებულია ავარიული შენობების შემოღობვა და დემონტაჟის დოკუმენტაციის მომზადება. დასრულებულია ელექტროგაყვანილობის მოწესრიგება. საწარმოო გეგმის მიხედვით, ტექნოლოგიურ და სასმელ წყალს სისტემატურად უტარდება ანალიზი. ე.წ. ძიძიგურის მაღაროში გაუქმდა ავარიული დეპო, საიდანაც საველში, სადაც მაღაროელები გადაადგილდებიან, აკუმულატორების მჟავის სუნი გამოდიოდა; აშენდა ახალი დეპო ინდივიდუალური ვენტილაციის სისტემით. უნდა ითქვას, რომ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციათა უმეტესობა უკვე გათვალისწინებული და შესრულებულია, თუმცა კომპანიაში სამუშაოები კვლავაც გრძელდება და ყველა ვალდებულება ეტაპობრივად შესრულდება,** – აცხადებენ „საქნახშირის“ ადმინისტრაციაში.



ტყიბულის მაღაროში, რომელიც საშიშ საწარმოო ობიექტს წარმოადგენს (საქართველოს კანონის მიხედვით „საშიშ საწარმოო ობიექტთა შესახებ“), ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა. სწორედ ამ მიზნით არსებობს „ნახშირის მაღაროების უსაფრთხოების წესები“, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს ექსპლუატაციის ტექნოლოგიურ ციკლში გათვალისწინებული ყველა პროცესის უსაფრთხოდ შესრულების ღონისძიებებს. როგორც კომპანია „საქნახშირის“ ახალ ადმინისტრაციაში აღნიშნავენ, კომპანია ზედმიწევნით იცავს უსაფრთხოების წესებს და რეგულარულად ამოწმებს შრომის უსაფრთხოების პირობებს.

**– უსაფრთხოების წესების შესრულება სავალდებულოა მაღაროს მთელი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და ყველა მუშისთვის. წესებით განსაზღვრულია, რომ მაღაროს ტექნიკურ ხელმძღვანელებს უნდა ჰქონდეთ უმაღლესი და ტექნიკური განათლება, ხოლო ახალმა მიღებულმა ან სხვა სამუშაოზე გადაყვანილმა მუშებმა სამუშაოზე დაშვების წინ წარმოადგინონ ჯანმრთელობის ცნობა და შემდგომ, საწარმოს ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად, მაღაროზე არსებულ სპეციალურ სასწავლო პუნქტში გაიარონ სწავლების კურსი უსაფრთხოების ტექნიკაში, ჩააბარონ გამოცდა და მიიღონ შესაბამისი დოკუმენტი. ჩვენი საწარმო ამ განაწესს პირნათლად მიჰყვება. საწარმოში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების რეკომენდაციაც. ამ მიზნით ადმინისტრაციულ შენობაში განთავსდა თანამშრომელთა ევაკუაციის გეგმა, შეძენილია და სხვადასხვა შენობაშია განთავსებული ცეცხლმაქრები. უსაფრთხოების წესების მოთხოვნის შესაბამისად, მაღაროში ყველა მუშა აღჭურვილია შესაბამისი სპეცტანსაცმლითა და მაღაროელის ჩაფხუტით, რაც ასევე იცავს მათ დაზიანებისაგან. შევიძინეთ პერსონალისთვის საჭირო სპეცტანსაცმლის მარაგი; ჰაერში ქვის მტვრის მაღალი შემცველობის მქონე სანგრევებსა და ხმაურიან ადგილებში მომუშავე პერსონალი უზრუნველყოფილია მაღალი ხარისხის რესპირატორებით, ყურსაცმებითა და უახლესი მოდელის მაიზოლირებელი სამთო თვითმაშველებით,** – აღნიშნავენ „საქნახშირის“ ხელმძღვანელობაში.

„საქართველოს მეტალურგთა, სამთო და ქიმიური მრეწველობის პროფკავშირების თავმჯდომარე“ თამაზ დოლაბერიძის თქმით, კომპანიამ მართლაც დაიწყო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რაზეც თავად მაღაროელები საუბრობენ.

**– მაღაროელების თქმით, კომპანიამ არაერთი სასიკეთო ცვლილება განახორციელა მაღაროებზე შრომის პირობების, ეკოლოგიური მდგომარეობის, საწარმოს გადაიარაღებისა და შრომის უსაფრთხოების ნორმების ამაღლებასთან დაკავშირებით. გარემონტდა საყოფაცხოვრებო ბლოკები და სველი წერტილი, ასევე – ძიძიგურის მაღაროს ადმინისტრაციული კორპუსი, სადაც, ადმინისტრაციის წარმომადგენელთა სამუშაო კაბინეტების გარდა, გასახდელები, საშხაპეები და კვების ობიექტია განთავსებული. გამამდიდრებელი ფაბრიკის მიმდებარედ გაიწმინდა მდინარის კალაპოტი და აღმოიფხვრა საწარმოო ნარჩენების მდინარეში მოხვედრის საშიშროება. ქალაქის დამტვერიანების შესამცირებლად დაიწყო გამამდიდრებელი ქარხნის გვერდით მდებარე ნარჩენების რეგულარული დანამვა და პარალელურად ამ ნარჩენების მეორადი გადამუშავება, რაც იმას ნიშნავს, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ ნარჩენების დიდი გროვა აღარ იარსებებს. მაღაროელები იმასაც აღნიშნავენ, რომ გეგმის შესრულებისა და მასთან ხელფასის შესაბამისობის დადგენის პროცედურაც გაუმჯობესდა და ე.წ. ნარიადი უფრო მაღალი ტარიფით დგინდება. გარდა ამისა, შეთანხმება შედგა მთელ რიგ კონკრეტულ საკითხებზე, მათ შორის მაღაროელებისთვის დამატებითი ბენეფიტების დაწესებაზე. მიუხედავად იმისა, რომ საწარმოს მიერ მოპოვებული ქვანახშირის შესყიდვაზე მოთხოვნამ გარკვეულწილად იკლო, რამაც კომპანიის შემოსავალი 11%-ით შეამცირა, კომპანიამ მაინც პრიორიტეტად ცნო თანამშრომლების ოჯახებისადმი აღებული სოციალური ვალდებულებები და მაღაროელთა პირველკლასელი შვილებისა და შვილიშვილებისთვის სასკოლო ჩანთები, ნივთები და საკანცელარიო აღჭურვილობა შეიძინა. საახალწლო აქტივობებიც განისაზღვრა. იმედს ვიტოვებთ, რომ მაღაროელებთან ურთიერთობა ასევე პარტნიორულ რეჟიმში გაგრძელდება, რაც სამომავლოდ უფრო მეტის მიღწევის გარანტი გახდება,** – აცხადებენ „საქართველოს მეტალურგთა, სამთო და ქიმიური მრეწველობის პროფკავშირებში“.

# 35 წლის მამაკაცმა მშობლებს თავები მოჰკვეთა

## მკვლელობაში ეჭვმიტანილს 20 წლის წინ შიზოფრენია დაუდგინდა

19 ნოემბერს, დილით, წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში შემზარავი მკვლელობა მოხდა. ახალგაზრდა მამაკაცმა მშობლებს თავები მოჰკვეთა.

როგორც ინტერპრესნიუსს სოფელ ლიას რწმუნებულმა ვახტანგ კვირკველიამ განუცხადა, ეს მამაკაცი ფსიქიკურად ჯანმრთელი არ არის.

– ბავშვობიდან პრობლემები აქვს. დილით მშობლებს ნაჯახით მოაჭრა თავი, შემდეგ გაქცევა ცადა, მოგვიანებით კი თვითდაზიანებები მიიყენა, – განაცხადა კვირკველიამ.

„კვირის“ ინფორმაციით, მამაკაცი მამას თავს მაშინ დაესხა, როცა ის ჯერ კიდევ ლოგინში იწვა, ხოლო დედა ოდა სახლის აივანზე მოკლა.

შემთხვევის შედეგად 88 წლის ვაჟი ქ. და 83 წლის რუსუდან ქ. დაიღუპნენ.

მშობლების საზარელი მკვლელობის დროს ოჯახის ერთ-ერთი წევრი შემთხვევით მეზობელთან იმყოფებოდა, სახლში მოსულს კი საზარელი ფაქტი დახვდა.

### ბოლო დღეებში ის აგრესიული გახდა და წამლებს აღარ იღებდა

როგორც „კვირას“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა განუცხადა, მშობლების საზარელი მკვლელობის შემდეგ ივანე ქ.-მ შემთხვევის ადგილი მიატოვა და ტყეში გაიქცა.

მისი თქმით, სამართალდამცავებმა იგი მალევე დააკავეს, თუმცა მას ვენები ჰქონდა გადაჭრილი.

* * *

როგორც „კვირას“ სოფელ ლიას რწმუნებულმა ვახტანგ კვირკველიამ განუცხადა, ივანე ქ. ფსიქიატრის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა და მედიკამენტოზურ მკურნალობას გადიოდა.

მისივე თქმით, დაახლოებით სამი დღის წინ მშობლების მკვლელობაში ეჭვმიტანილმა ზუგდიდის შს სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორი დატოვა.

– ზუგდიდში ყოფილა. ფურცელზე დაუწერია, დამეხმარეთო და ეს ფურცელი და 50-ლარიანი პოლიციის მანქანაში შეუგდია, რის გამოც სამართალდამცავებს დაკავებული ჰყავდათ. სავარაუდოდ, როდესაც გაიგეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, გაათავისუფლეს. ეს დაახლოებით სამი დღის წინ მოხდა. საერთოდ, მედიკამენტებს იღებდა. ამ საზარელი ფაქტის დროს მისი და შემთხვევით მეზობელთან იყო გადასული, სახლში მოსულს კი ასეთი შემზარავი ამბავი დახვდა. საშინელი სანახაობაა აქ, – ამბობს ვახტანგ კვირკველია „კვირასთან“ საუბრისას.

მოხუცებს სამი შვილი ჰყავთ. ორი გოგო და ერთი ვაჟი. ერთ-ერთი გოგონა პოლონეთში ცხოვრობს და ოჯახს უცხოეთიდან ფინანსურად ეხმარება.

* * *

მშობლების განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილ 35 წლის ივანე ქ.-ს შიზოფრენია 20 წლის წინ დაუდგინდა. მას სმენითი და მხედველობითი ჰალუცინაციები ჰქონდა.

ამის შესახებ „კვირას“ პაციენტის ოჯახის ექიმმა განუცხადა.




მისი თქმით, პაციენტს შიზოფრენია 20 წლის წინ თბილისში, ფსიქიატრიულ კლინიკაში დაუდგინდა და სამედიცინო დაწესებულებაშიც მკურნალობდა, თუმცა უკვე რამდენიმე წელია, მედიკამენტოზური მკურნალობის ქვეშ იმყოფება.

ოჯახის ექიმის ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცი ბოლო ერთი კვირაა, აგრესიული გახდა.

– პაციენტი წლების განმავლობაში მედიკამენტოზური მკურნალობის ქვეშ იმყოფება. ერთი კვირაა, აგრესიული გახდა. ოჯახის წევრებისგან მქონდა ინფორმაცია, რომ ბოლოს მედიკამენტებსაც არ იღებდა. საჭმელში უყრიდნენ მედიკამენტებს და ასე იყო.

თუმცა, როგორც დღეს გავიგე, ბოლო ოთხი დღეა, საკვები საერთოდ არ მიუღია. დღეს კი ეს საშინელი ამბავი მოხდა, – ამბობს „კვირასთან“ პაციენტის ოჯახის ექიმი.

* * *

თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ ივანე ქ. ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც „კვირას“ ჯვარის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის ექიმმა გოჩა ლიპარტიამ განუცხადა, სუიციდის მცდელობის შესახებ ინფორმაციით ზარი 11 საათსა და 55 წუთზე დაფიქსირდა.

მისივე თქმით, პოლიციელების დროული ჩარევით, ახალგაზრდა მამაკაცი თვითმკვლელობას გადაარჩინეს.

– როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, 35 წლის მამაკაცი ხეზე მავთულით თვითმკვლელობას ცდილობდა, თუმცა იგი პოლიციის თანამშრომლებმა გადაარჩინეს. პაციენტს, რომელიც უკონტაქტო იყო, ზედა კიდურებზე თვითდაზიანება აღენიშნებოდა. სავარაუდოდ, ვენების გადაჭრის შემდეგ, მამაკაცმა ხეზე მავთულით თავის ჩამოხრჩობა ცადა. ამის გამო მას კისრის არეშიც მავთულისგან ღია ჭრილობა აღენიშნებოდა.

მას ადგილზე სამედიცინო დახმარება ჩავუტარეთ და სასწრაფოდ ზუგდიდში, რეფერალურ საავადმყოფოში გადავიყვანეთ. გზაში რეანიმაციული ღონისძიებები გრძელდებოდა, რის შედეგადაც პაციენტი კონტაქტური გახდა. ამჟამად იგი კლინიკაშია მოთავსებული და მასზე მონიტორინგი ხორციელდება, – აღნიშნა ექიმმა გოჩა ლიპარტიამ.

როგორც „კვირას“ კლინიკის ექიმმა განუცხადა, პაციენტი ამჟამად გონზეა, თუმცა მას პოლიცია იცავს და კონტაქტს არავისთან ამყარებს.

# სახის დასერვა და ყურის მოჭრა

## გარდაბანში ჩადენილი სასტიკი წამებისთვის 4 პირს 10-11-წლიანი პატიმრობა მიესაჯა



რუსთავის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და წარსულში ნასამართლევი გოგა არაბული, გივი არაბული, ლაშა ალუდაური და მამუკა გაბახაძე დამნაშავედ ცნო ჯგუფურ წამებასა და არაერთგზის ჩადენილ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2016 წლის 2 მარტს მამუკა გაბახაძემ, გოგა არაბულმა, გივი არაბულმა და ლაშა ალუდაურმა ქ. თბილისში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, გოგა არაბულის მართვის ქვეშ მყოფი მიცუბიში პაჯეროს მარკის ავტომანქანაში, ვითომდა სალაპარაკოდ, ჩაისვეს გივი არაბულის მეგობარი გოდერძი არაბული და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე სცემეს, შემდეგ კი ავტომანქანით, სისტემატური ცემის პირობებში, იძულებით გადაიყვანეს გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებაში მდებარე გივი არაბულის საცხოვრებელ სახლში.

აღნიშნული პირები გოდერძი არაბულისგან გივი არაბულის კუთვნილი სამუშაო ხელსაწყოების ქურდობის აღიარებას მოითხოვდნენ და სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისთვის დასჯის მიზნით ჯგუფურად დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში სცემდნენ, შემდეგ კი თავზე პოლიეთილენის პარკი ჩამოაცვეს, ყელზე ძლიერად მოუჭირეს პირსახოცი და დახრჩობით ემუქრებოდნენ.

მას შემდეგ, რაც გოდერძი არაბული კატეგორიულად უარყოფდა მის მიერ ქურდობის ჩადენის ფაქტს და სთხოვდა მათ შეეწყვიტათ მისი წამება, გოგა არაბულმა აღიარების მიღების მიზნით, გოდერძი არაბულს დანით სახის მარცხენა ნაწილი დაუსერა, ხოლო გივი არაბულმა მარცხენა ყური მოაჭრა.

სამართალდამცველებმა გოგა არაბული 2016 წლის 23 მარტს ქ. ბორჯომში, გივი არაბული 2016 წლის 11 მარტს, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზაზე, ლაშა ალუდაური 2016 წლის 21 ივლისს ქ. თბილისში, ხოლო მამუკა გაბახაძე 2016 წლის 21 ივლისს გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებაში დააკავეს.

მათ ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ და მე-7 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი ჯგუფურად არაერთგზის, რომელმაც სახის წარუშლელი დამახინჯება გამოიწვია) და 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (წამება, ჩადენილი ჯგუფურად) წარედგინათ.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ ოთხივე პირი დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად გოგა არაბულს და გივი არაბულს 11 წლით, ხოლო ლაშა ალუდაურს და მამუკა გაბახაძეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

**ნიუპოსტი**

# ნიურნბერგში განზრახ მკვლელობისთვის ძებნილი პირი თბილისში დააკავეს



სამართალდამცველებმა გერმანიის ქალაქ ნიურნბერგში ჩადენილი ყაჩაღობისა და დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობისთვის ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით ძებნილი პირი, 1986 წელს დაბადებული გ.ჩ. თბილისში დააკავეს.

ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროში 19 ნოემბერს გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს.

როგორც უწყებაში აღნიშნეს, საქართველოსა და გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროებმა ერთობლივი უპრეცედენტო ოპერაცია ჩაატარეს.

გერმანელი სამართალდამცველების მიერ გამოგზავნილი სისხლის სამართლის მასალების საფუძველზე, შსს-ს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტმა გამოძიება დაიწყო.

აღნიშნული მასალებიდან ირკვევა, რომ ბრალდებული და მისი თანამზრახველი, რომელიც ამ დროისთვის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პატიმრობაში იმყოფება და შეფარდებული აქვს უვადოდ თავისუფლების აღკვეთა, 2013 წლის 22 ივნისის ქალაქ ნიურნბერგში, მოქალაქის საცხოვრებელ ბინაში შევიდნენ, ბინის მესაკუთრეს ელექტროკაბელებითა და ქსოვილის ნაჭრით ხელ-ფეხი შეუკრეს, თავზე საბანი და ხალიჩა დააფარეს და გაგუდეს.

აღნიშნულმა პირებმა ბინიდან როლექსის მარკის 2.500 ევროდ ღირებული მაჯის საათი გაიტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

მიუნხენის უნივერსიტეტის სასამართლო მედიცინის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ დაკავებულის დნმ-ის კვალი აღმოჩენილია ცხედარზე, ასევე, შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ ნივთებზე: დანის ტარზე, ბინის დერეფნის არსებული კომოდის მარჯვენა სახელურზე, გარდაცვლილის გატეხილ მობილურ ტელეფონზე, დაზარალებულის კუთვნილ ორ ბეჭედზე.

გამოძიება ყაჩაღობისა და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით).

დაკავებული საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გასამართლდება.

# თბილისში 8 წლის გოგონას გაუპატიურება ცადეს

თბილისში 8 წლის გოგონას გაუპატიურება ცადეს.

ტელეკომპანია „იბერიის“ ინფორმაციით, შემთხვევა თბილისში, სამტრედიის ქუჩაზე, 8 ნოემბერს მოხდა.

ფაქტი არასრულწლოვნის მშობელმა მას შემდეგ აღმოაჩინა, რაც ბავშვი სადარბაზოში შეყოვნდა და მისი ძებნა დაიწყო. ტელეკომპანიის ცნობით, დედამ დაინახა, რომ ბავშვზე ძალადობას შუახნის მამაკაცი ცდილობდა.

– მეორე სართულზე ცხოვრობენ. როგორც ვიცი, სადარბაზოში შევიდა ბავშვი სკოლიდან დაბრუნების შემდეგ, დედა უყურებდა ზემოდან და რომ დაიგვიანა ბავშვმა სახლში ასვლა, დედამ გამოიხედა და სახელი დაუძახა. ბავშვმა ტირილი დაიწყო, მამაკაცმა ხელი ააფარა, – აცხადებს ერთ-ერთი ქალი.

არასრულწლოვანი ციციშვილის სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს. მას ძალადობის ნიშნები აღენიშნებოდა. 8 წლის გოგონას სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში ექსპერტიზაც ჩაუტარდა.

როგორც „კვირას“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 141-ე მუხლით აღიძრა, რაც 16 წლის ასაკს მიუღწეველთან გარყვნილ ქმედებას გულისხმობს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# შსს-მ ნარკორეალიზატორი დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით 1972 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ი.მ. რუსთავში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ი.მ. სისტემატურად ყიდდა ნარკოტიკულ საშუალებას. ნარკოლოგიური შემოწმებით, დაკავებულს ოპიუმის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ახალი დირექტორი ეყოლება

## ვინ არის მაიკ პომპეო




იანვრის ბოლოს დონალდ ტრამპის ინაუგურაცია შედგება. ნელ-ნელა ცნობილი ხდება ამერიკის ახალი მთავრობის წევრთა ვინაობა. ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს სათავეში რესპუბლიკელი მაიკ პომპეო ჩაუდგება.

მაიკ პომპეო რესპუბლიკური პარტიის კონსერვატორულ ფრთას განეკუთვნება. ის ტრამპს ხშირად საჯაროდაც აკრიტიკებდა. ეს განსაკუთრებით მაშინ წარმოჩნდა, როცა გასაჯაროვდა ვიდეოჩანაწერი, სადაც ტრამპი ქალებისადმი თავის დამოკიდებულებაზე საუბრობდა. არსებობს მეორე მომენტიც: ტრამპი არაერთგზის აცხადებდა, რომ რუსეთთან ურთიერთობების მოგვარება სურს, პომპეი კი, პირიქით, მკვეთრი ანტირუსული პოზიციებიდან გამოდიოდა.

– გამომდინარე ზემოთქმულიდან, ამ დანიშვნას არავინ მოელოდა, – თვლის რუსი ექსპერტი მარკოვი.

პომპეო 1963 წელს კალიფორნიაში დაიბადა. დაამთავრა ვესტ-პოინტის ლეგენდარული სამხედრო აკადემია, შემდეგ აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა. მას მეორე უმაღლესი განათლებაც აქვს: დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სადოქტორო ხარისხიც აქვე დაიცვა.

ჯარში სამსახურის შემდეგ პომპეო კერძო ბიზნესს ეწეოდა. დააარსა კერძო იურიდიული ფირმა, შემდეგ დიდ იურიდიულ ფირმაში გადავიდა. თავისი პოლიტიკური შეხედულებებით პომპეო რესპუბლიკური პარტიის კონსერვატორულ ფრთას განეკუთვნება. ის კონგრესის წარმომადგენლობით პალატაში არკანზასის შტატს წარმოადგენდა. პომპეო სენატორ მაკეინს ბევრ რამეში ეხმარება. ისიც თვლის, რომ აუცილებელია უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდება, ამ ქვეყნის შეიარაღება და რუსეთის საპირწონედ გამოყენება.

– პომპეო ნამდვილად „ჩვენი კაცია," – წერს უკრაინელი პოლიტოლოგი ფისენკო.

ამას გარდა, პომპეო რუსეთის მიმართ სანქციების გაზრდას უჭერს მხარს და მიიჩნევს, რომ რუსებთან მოლაპარაკება შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ ძალის პოზიციებიდან, სხვაგვარად ეს წარუმატებლად დამთავრდება. პომპეო დაზვერვის საკითხებშიც კარგად ერკვევა. ის წლების განმავლობაში კონგრესის სადაზვერვო საკითხების კომიტეტში შედიოდა.

თავის ინტერვიუში ტრამპმა დაადასტურა, რომ პომპეოს ცსს-ს დირექტორის პოსტი შესთავაზა. პომპეომ, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ შემოთავაზება მიიღო და ოფიციალურად ამ პოსტს დონალდ ტრამპის ინაუგურაციის შემდეგ დაიკავებს.

## დონალდ ტრამპი მიტ რომნის შეხვდა



აშშ-ის ახლადარჩეული პრეზიდენტი დონალდ ტრამპი რესპუბლიკური პარტიის წევრ მიტ რომნის შეხდა.

წინასაპრეზიდენტო არჩევნებზე რომნი ბარაქ ობამას კონკურენტი იყო, მაგრამ დამარცხდა.

რომნის ტრამპთან საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ის განიხილება, როგორც ერთ-ერთი რეალური კანდიდატი სახელმწიფო მდივნის პოსტზე. რომნი კონსერვატორია. ის რუსეთთან ძალის პოზიციებიდან დიალოგისა და უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდების მომხრეა.

ტრამპსა და რომნის შორის საუბარი გულთბილ ატმოსფეროში წარიმართა. მას ვიცეპრეზიდენტი მაიკლ პენსიც დაესწრო.

რომნიმ და ტრამპმა მსოფლიოში მიმდინარე პროცესები მიმოიხილეს. ჯერჯერობით არ ხმოვანდება, შესთავაზა თუ არა ტრამპმა რომნის სახელმწიფო მდივნის თანამდებობა.

## საფრანგეთი ესტონეთში ჯარს აგზავნის

საფრანგეთის პრეზიდენტ ოლანდის ბრძანებით, ესტონეთში 300 ფრანგ ჯარისკაცს გაგზავნიან. ისინი შეუერთდებიან ნატოს ძალებს, რომელთა ამოცანაც რუსული აგრესიისგან ესტონეთის დაცვაა.

– რუსებისგან ნებისმიერი სიურპრიზია მოსალოდნელი! ჩვენ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ, – აცხადებს ოლანდი.

## ინდოეთში მატარებელი რელსებიდან გადავიდა



ინდოეთის ჩრდილოეთ ნაწილში სამგზავრო მატარებლის 14 ვაგონი რელსებიდან გადავიდა. გარდაცვლილთა რიცხვმა 100-ს მიაღწია, 150-ზე მეტმა კი სხვადასხვა ხარისხისა და სიმძიმის დაზიანებები მიიღო.

მატარებლის მგზავრმა კრიშნა კეშავმა ბიბისისთან საუბარში აღნიშნა, რომ მგზავრები დილის 3 საათისთვის ბიძგმა გააღვიძა და რელსებიდან გადასული რამდენიმე ვაგონი დაინახეს.

– ყველა შოკში იყო. მე რამდენიმე გარდაცვლილი და დაშავებულიც დავინახე, – აღნიშნა კრიშნამ.

კატასტროფის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია, ერთ-ერთი მგზავრის, სატიშ კუმარის თქმით, მატარებელი ნორმალური სიჩქარით მიდიოდა, კატასტროფამდე კი გაჩერდა და შემდეგ ხელახლა დაიძრა.

– ბევრი ჯერ კიდევ ნამსხვრევების ქვეშ არის მოყოლილი, – განაცხადა სარკინიგზო ხაზების მთავარმა წარმომადგენელმა ანილ საკსენამ.

ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ნარენდრა მოდიმ დაღუპულთა ოჯახებისა და ახლობლებისთვის ტვიტერის საკუთარ გვერდზე სამძიმრის წერილი გამოაქვეყნა.

## ფსბ-ს ოპერაცია ჩაიშალა



რუსულმა ფედერალური უშიშროების სამსახურმა (ფსბ) ცადა მოეტაცებინა და რუსეთში გადაეყვანა თავისი ყოფილი თანამშრომელი ბოგდანოვი, რომელიც დონეცკის აეროპორტისთვის ბრძოლების დროს უკრაინელების მხარეს გადავიდა.

უკრაინის უშიშროების სამსახურის ძალისხმევით ოპერაცია ჩაიშალა. ხალხი, რომელიც ბოგდანოვის გატაცებაში მონაწილეობდა, დააპატიმრეს. ასევე დაპატიმრებულია ხარკოვის საოლქო საბჭოს ყოფილი წევრი, რომელიც რუსებს ბოგდანოვის გატაცებაში ეხმარებოდა.

– ჩვენს რუს კოლეგებს ვაფრთხილებ, შეეშვით დივერსიებს უკრაინის ტერიტორიაზე! – განაცხადა უკრაინის უშიშროების სამსახურის შეფმა, გენერალმა გრიცაკმა.

## ალეპოში სკოლის დაცხრილვის შედეგად, სულ მცირე, 7 ბავშვი დაიღუპა



ალეპოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად რაიონში, სკოლის დაცხრილვის შედეგად, 7 ბავშვი დაიღუპა.

ამის შესახებ „როიტერი" სირიის ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყება.

სააგენტოს ცნობით, სირიის სახელმწიფო ტელევიზია ალეპოს სამთავრობო ნაწილის დაცხრილვის შედეგად, მინიმუმ, 10 დაღუპულის შესახებ იუწყება.

მანამდე გავრცელებული ინფორმაციით, ალეპოს აღმოსავლეთ რაიონებში, რომლებსაც ამბოხებულები აკონტროლებენ, დაბომბვების შედეგად არცერთი დიდი საავადმყოფო აღარ ფუნქციონირებს.

## თურქეთს რუსეთში საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის ყიდვა სურს

თურქეთს რუსული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის C-400-ის ყიდვა სურს. ამის თაობაზე თურქეთის თავდაცვის მინისტრმა იშიკმა განაცხადა.

– მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს. რუსული მხარე ჩვენს მისწრაფებას მიესალმება, – თქვა იშიკმა.

## სამხრეთ კორეაში პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვენ

სეულში არ წყდება აქციები პრეზიდენტ პაკ ინ კხეს გადადგომის მოთხოვნით.

უკანასკნელ მანიფესტაციაში მონაწილეობა 30.000-მდე მოქალაქემ მიიღო. დემონსტრაციები ჯერჯერობით მშვიდობიან ხასიათს ატარებს, თუმცა ხელისუფლებამ ქუჩაში გამოიყვანა სპეცრაზმი, რომელიც ფარებითა და ხელკეტებითაა შეიარაღებული.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*


## ტურმალინის საცვლები



ტურმალინს გააჩნია ბუნებრივი (bioenergy) სამკურნალო თვისებები. იგი ერთადერთი მინერალია, რომელსაც გააჩნია მაგნიტური ველი. ტურმალინი ასხივებს ინფრაწითელ სხივებს, რაც ათავისუფლებს თავისუფალ რადიკალებს. თავისუფალი რადიკალები არის ეგრეთწოდებული „ნარჩენები", რომელსაც ორგანიზმში წარმოქმნის დაბინძურებული გარემო, ულტრაიისფერი სხივები, სიგარეტის კვამლი, გამონაბოლქვი და სხვა გარემო ფაქტორი.

თავისუფალი რადიკალები ზიანს აყენებენ უჯრედულ სტრუქტურას. უკიდურეს შემთხვევაში იწვევს კიბოს გაჩენას. ტურმალინი წერტილოვნად არის დატანილი ქვედა საცვლის ზედაპირზე. შედეგად, აქტიურდება სისხლის მიმოქცევა, რაც ხელს უწყობს უჯრედების ჟანგბადით მომარაგებას, ასტიმულირებენ ნერვულ დაბოლოებებს, .აუმჯობესებს სისხლძარღვთა გამტარობას, აქვს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება, ებრძვის 650-ზე მეტი სახეობის ბაქტერიას.

ტურმალინის ნანო ზედაპირი აღადგენს შარდსასქესო სისტემის ფუნქციას, ცისტიტი, ურეთრიტი, უნებლიე და ხშირი შარდვა, წვა და ტკივილი შარდვის დროს, ფეხების დაბუჟება, თირკმლის დაავადებები (ნეფრიტი, პიელონეფრიტი), კუჭის წყლულები, ყაბზობა, მეტეორიზმი, ბუასილი. ეფექტურად მოქმედებს ღვიძლზე, ნაღვლის ბუშტზე, ამცირებს კუნთების ტკივილს, საჯდომის ნერვის ანთებას, ხერხემლისა და წელის მიდამოს ოსტეოქონდროზს. აქვს ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი. უკუგანვითარებას იწყებენ ფარული ინფექციები, სქესობრივი გზით გადამდები ვენერიული დაავადებები (ქლამიდიოზი, ტრიქომონიაზი, გენიტალური ჰერპესი და სხვა).

ქალბატონებისათვის რეკომენდებულია ტრუსის ტარება, როდესაც აღინიშნება სასქესო მიდამოების წვა და ქავილი, გამონადენი, ვაგინიტი, ენდომეტრიტი, მტკივნეული მენსტრუაცია, კლიმაქსის პერიოდი, სხვადასხვა გინეკოლოგიური დაავადებები, საშვილოსნოს ყელის ეროზია, საშვილოსნოს ფიბრომა, კისტა, ფრიგიდულობა, აღადგენს სექსუალურ ლტოლვას, აღადგენს ჰორმონალურ ბალანსს, რეპროდუქციულ სისტემას.

მამაკაცებისათვის რეკომენდებულია ტრუსის ტარება, როდესაც აღინიშნება მწვავე და ქრონიკული პროსტატიტი, წვა და ტკივილი შარდვის დროს, სასქესო მიდამოების წვა და ქავილი, აღადგენს და აძლიერებს პოტენციას სექსუალური ფუნქციის დაქვეითების დროს, აღადგენს სექსუალურ ლტოლვას, აუმჯობესებს სათესლე ჯირკვლების მდგომარეობას.

**შემადგენლობა**

ტურმალინის ძაფი 78 %, აბრეშუმი, ტურმალინის მიკროკრისტალები, ანტიალერგიული, კომფორტული, სასიამოვნო და უვნებელი მასალა.

ტურმალინის საცვლებს რეკომენდაციას უწევენ პროქტოლოგები, გინეკოლოგები. ნეფროლოგები.

**მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 79.**

**ტელ.: 218-21-86; 579-885-996.**



## განცხადებები

**მომსახურება**

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.



**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154.

„მწვანე ოფისი".





**ელექტროლეიბი – ეს არის საუკეთესო გადაწყვეტილება ცივი ზამთრისთვის. ელექტროლეიბთან ერთად თქვენ არ შეგაშინებთ ყინვა და ცივი ღამეები.**

ეკონომიურია და, რაც მთავარია, აბსოლუტურად უსაფრთხო...

ერთი თვის განმავლობაში მოიხმარს 1-2 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას.

პროდუქცია დამზადებულია 100% ბუნებრივი ქსოვილისაგან, ბოლოებში დაფარულია თერმოდამცავი სისტემით, რომელიც ინარჩუნებს სითბოს. სითბო თანაბრად ნაწილდება ლეიბის მთელ ფართობზე.

ზომა: 120X160

რეჟიმი: 2

დაცულია გადახურებისგან.

**ფასი 30 ლარი**

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79 (უკანა მხარე);**

**ქ.ზესტაფონი, რუსთაველის 158**

**ტელ.: 218-21-86; 579-885-996.**

# დედაქალაქურ დერბიში დინამომ მოიგო, გორმა სამტრედიაში იმარჯვა

### თეთრი ჯგუფი

**დინამო-ლოკომოტივი 4:0**

**თბილისი. დინამო არენა**

1:0 პაპუნაშვილი (34), 2:0 ჭანტურიშვილი (53), 3:0 მიქელთაძე (61), 4:0 ჯილაური (79)

**დინამო:** რევიშვილი, ლობჟანიძე, ხუბუტია, რენე, ლოჩოშვილი, ცინცაძე, კიტეიშვილი (ჩაკვეტაძე 85), პაპუნაშვილი (ნინუა 82), ჯილაური, ჭანტურიშვილი, მიქელთაძე (ზარია 76)

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, გეთიაშვილი, ჩიტეიშვილი (კიკნაძე 60), კლიმიაშვილი (ქიქავა 79), კუხიანიძე, დიასამიძე, ხიდეშელი, მახარაძე, არდაზიშვილი (ვაწაძე 54), ზარანდია, უბილავა

დედაქალაქურ დერბის სატურნირო თვალსაზრისით ბევრი რამ უნდა გადდაეწყვიტა. საბოლოოდ ისე მოხდა რომ, დინამომ მე-2 ადგილი გაინაღდა, ხოლო ლოკომოტივსევროსაგზურებისთვისაც დაუტოვა საბრძოლი და პლეი აუტში თავის ასარიდებლადაც.

არადა, პირველი სახიფათო შეტევა სტუმრებმა განახორციელეს. ლოკომოტივის სწრაფ შეტევას ლუკა ზარანდიას დარტყმა მოჰყვა, ბურთი ნუკრი რევიშვილმა მოიგერია. საპასუხო შეტევაში კი ბექა მიქელთაძეს შეექმნა საგოლე სიტუაცია, მაგრამ მისი დარტყმული არაზუსტი გამოდგა. მალევე დინამოელთა კიდევ ერთი შეტევა და ხელიდან გაშვებული შანსი – ჯაბა ჯილაურმა ითამაშა ტექნიკურად, მეკარესაც გასცდა, მაგრამ ბურთი კარს ააცილა.

ანგარიში 34-ე წუთზე გაიხსნა. ჯაბა ჯილაურის ტექნიკურ გადაცემას გიორგი პაპუნაშვილი გამოეხმაურა და ზუსტი დარტყმით აიღო რევაზ თევდორაძის კარი. პირველი ტაიმის ბოლოს ნუკრი რევიშვილმა ითამაშა კარგად, როდესაც პირისპირ გასულ ლოკომოტიველთა ფორვარდს გატანა არ დაანება.

მეორე ტაიმის დებიუტში ვახო ჭანტურიშვილის სახიფათო ჩაწოდებას მეტოქის კართან სიტუაციის გამწვავება მოჰყვა, ბოლო წამს ბექა მიქელთაძეს დაასწრო მცველმა და კუთხურზე მოიგერია ბურთი. სათამაშო უპირატესობა მატჩის 53-ე წუთზე დინამოელებმა მეორე გატანილ გოლში ასახეს. ბურთი ჭანტურიშვილმა გაიტანა, რომელიც მეკარესთან პირისპირ დარჩა – 2:0.

61-ე წუთზე დინამოს ფორმით თავისი სადებიუტო გოლი ახალგაზრდა ბექა მიქელთაძემ გაიტანა და ანგარიში 3:0 გახადა. ცოტა ხანში ბექას კიდევ ერთხელ შეეძლო თავის გამოჩენა, როდესაც პაპუნაშვილის გადაცემის შემდეგ გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ თევდორაძეს ველარ აჯობა.

79-ე წუთზე ჯილაურმა ვერ გაიტანა ძალიან ხელსაყრელი სიტუაციიდან, თუმცა ბურთი შეცვლაზე შესულ გიორგი ზარიას მიუვიდა, რომელმაც ჯილაურს მაინც გაატანინა – 4:0.

**ცხინვალი-ტორპედო 1:2**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

0:1 ტუღუში (15), 0:2 კაპანაძე (30) 1:2 ქარდავა (57)

მე-20 წუთზე დვალმა ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

**ცხინვალი:** ნადირაძე, მახარობლიძე (მაქაცარია 78), ქარდავა,სულთანიშვილი, მაისაშვილი, კაჭკაჭიშვილი (თომაშვილი 35), ცერცვაძე, ბაჩიაშვილი, ქოჩლაძე (შინდაგორიძე 46), კახელიშვილი, დვალი

**ტორპედო:** კვასხვაძე, ტაბატაძე, ჭიჭინაძე, გურული, ფალავანდიშვილი, ბაბუნაშვილი, კაპანაძე (კვერნაძე 61), ნერგაძე, დოლიძე (ბენაშვილი 56), ქიმაძე, ტუღუში (ენდელაძე 81)

მატჩი ორივე გუნდისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო. არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მეტოქეებს ჰაერივით სჭირდებოდათ გამარჯვება და, როგორც მოსალოდნელი იყო, თამაშიც საკმაოდ დაძაბულად წარიმართა.

უფრო ძლიერი ტორპედო გამოდგა, რომელმაც ამ გამარჯვებით უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების საკითხი დადებითად გადაწყვიტა და მე-3 ადგილზე ადგილზე გასვლის შანსიც გაუჩნდა.

სტუმრებმა კარგად გამოიყენეს პირველ ტაიმში მოპოვებული სათამაშო უპირატესობა და მეტოქეს 2 ბურთი გაუტანეს. მე-15 წუთზე ცხინვალელთა კარი საჯარიმოს კუთხიდან ეფექტური გასროლით ბექა ტუღუშმა დალაშქრა. მეორედ კი გიორგი ნადირაძის კარი ახლოდან თორნიკე კაპანაძემ აიღო. გოლებს შორის ცხინვალელებმა რეალური შანსი გაუშვეს ხელიდან – როინ კვასხვაძემ ჯაბა დვალის მიერ დარტყმული 11-მეტრიანი მოიგერია.

თამაშის განახლებიდან ათიოდე წუთში კუთხურის შემდეგ ბექა ქარდავამ თავურით ზუსტად გაგზავნა ბურთი ტორპედოელთა კარში და მატჩს ინტრიგა დაუბრუნა. ამის შემდეგ ცხინვალელები თამაშის გადარჩენას ცდილობდნენ და ხშირად უტევდნენ, ოლონდ უშედეგოდ და არც ქუთაისელთა კონტრიერიშებს მოჰყოლია შედეგი.



**გურია-ჩიხურა 0:2**

**ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე**

0:1 მუმლაძე (65), 0:2 კაკუბავა (86)

**გურია:** იმერლიშვილი, მეგრელიშვილი, ჭეიშვილი, ჩადუნელი, ნოზაძე, მოროზენკო (ბარბაქაძე 87), კირკიტაძე (ფელიპე 58), ჭეჭელაშვილი, ჭედია, იმნაძე (დინიზი 46), მურაშოვი

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, კაშია, კაკუბავა, ჩიკვაიძე, გრიგალაშვილი, გორგიაშვილი, განუგრავა, დობროვოლსკი (რეხვიაშვილი 83), ლექვთაძე (ტატანაშვილი 66), ს.ლობჟანიძე, მუმლაძე (სარდალიშვილი 66)

ამ მარცხით ლანჩხუთელებმა უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსები მკვეთრად შეიმცირეს, მათ 11 ქულა აქვთ და ბოლო ტურში სხვა მატჩების შედეგზე არიან დამოკიდებული. საჩხერელთათვის კი ამ გამარჯვებას სატურნირო თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია, რადგანაც მათ თეთრ ჯგუფში ლიდერობა უკვე გაინაღდეს.

ლანჩხუთელთა კარში 65-ე და 86-ე წუთებზე გოლები თორნიკე მუმლაძემ და ლევან კაკუბავამ გაიტანეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩიხურა | 11 | 8 | 2 | 1 | 23:10 | 26 |
| 2.დინამო (თბ) | 11 | 5 | 5 | 1 | 16:5 | 20 |
| 3.ტორპედო | 11 | 4 | 3 | 4 | 16:11 | 15 |
| 4.ლოკომოტივი | 11 | 4 | 2 | 5 | 10:17 | 14 |
| 5.შუქურა | 11 | 2 | 5 | 4 | 9:12 | 11 |
| 6.გურია | 12 | 3 | 2 | 7 | 8:21 | 11 |
| 7.ცხინვალი | 11 | 2 | 3 | 6 | 11:17 | 9 |

### წითელი ჯგუფი

**სამტრედია-დილა 0:2**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

0:1 მანჯგალაძე (26სკ), 0:2 ელიაური (31)

**სამტრედია:** მეშველიანი, მჭედლიშვილი, გოგიაშვილი (ცნობილაძე 70), სანდოხაძე, შერგელაშვილი, დათუნაიშვილი, მანჯგალაძე (გამყრელიძე 75), ჯიქია (მარკოზაშვილი 84), რაჟამაშვილი, ზივზივაძე, არაბული

**დილა:** მუჯრიშვილი, კვახაძე, ღონღაძე, კოფი, ეტოუ, რაზმაძე, ნონიკაშვილი, წიქარიძე, ერისთავი (ლომიძე 58), ელიაური (ბიასადილა 85), კალანდარიშვილი (ჩახვაშვილი 73)

**გაძევება:** ღონღაძე (52)

დილა ჩემპიონატში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის და ამ შედეგის მისაღწევად სამტრედიაში დიდი ნაბიჯი გადადგა. წითელი ჯგუფის ჩემპიონს საკუთარ მოედანზე ორი უპასუხო ბურთი გაუტანა და სატურნირო ცხრილში მნიშვნელოვანი 3 ქულა მიითვალა.

არადა, გორელებს 4 ძირითადის ფეხბურთელი აკლდა: ირაკლი მოდებაძე და გიგა სამხარაძე დისკვალიფიკაციით, ხოლო ნიკოლოზ გელაშვილი და ლაშა სალუქვაძე ტრავმების გამო.

პირველი რეალური მომენტი მე-19 წუთზე შეიქმნა, როდესაც ერისთავმა საჯარიმო დარტყმიდან ბურთი სამტრედიელთა კარის ძელს გაარტყა. სტუმრები განაგრძობდნენ აქტიურ თამაშს, რამაც შედეგი 26'-ე წუთზე გამოიღო.

კალანდარიშვილის პასის შემდეგ ერისთავი მეკარესთან პირისპირ დარჩა და ძლიერად დაარტყა, რომელიც მეკარეს მოხვდა და გადმოვარდნილი ბურთი შემთხვევით მანჯგალაძეს მოხვდა, რის შემდეგაც ბადეში აღმოჩნდა და ანგარიშიც ასე გაიხსნა – 0:1.

მალევე დილას კიდევ ერთი მომენტი შეექმნა, მაგრამ გორელებს კვლავ არ გაუმართლათ და ბურთი ისევ ძელს მოხვდა.

31-ე წუთზე სტუმრებმა საწადელს მაინც მიაღწიეს: სამტრედიელთა მეკარე და მცველი ერთმანეთს დაეჯახნენ, რითიც ნონიკაშვილმა ისარგებლა და შემდეგ ზუსტი გადაცემით უკეთეს პოზიციაში მყოფ ნიკა ელიაურს გადააწოდა, რომელმაც ანგარიში ორამდე გაზარდა.

მე-2 ტაიმი დილასთვის ძალიან ცუდად დაიწყო. ღონღაძემ ხუთწუთიან მონაკვეთში ორი ყვითელი მიიღო და სტუმრები 10 კაცით დარჩნენ მოედანზე.

მიუხედავად ამისა, გორელებმა სათამაშო უპირატესობა არ დათმეს და რამდენიმე მომენტიც ჰქონდათ. სამტრედიელებს კი ერთადერთი შანსი ბოლო წუთზე მიეცათ და ისიც ვერ გამოიყენეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სამტრედია | 11 | 7 | 3 | 1 | 22:9 | 24 |
| 2.კოლხეთი | 11 | 6 | 0 | 5 | 10:17 | 18 |
| 3.დინამო (ბთ) | 10 | 4 | 5 | 1 | 17:4 | 17 |
| 4.დილა | 11 | 4 | 2 | 5 | 12:12 | 14 |
| 5.საბურთალო | 10 | 3 | 4 | 3 | 13:11 | 13 |
| 6.სიონი | 11 | 3 | 2 | 6 | 13:16 | 11 |
| 7.ზუგდიდი | 10 | 2 | 0 | 8 | 4:22 | 6 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## დოპინგკონტროლმა საქართველოს ოლიმპიური ვერცხლი „აჩუქა“

საერთაშორისო ოლიმპიური დოპინგსკანდალი გრძელდება. ბოლო ინფორმაციით, პეკინის 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ძალოსნობაში მე-4 ადგილზე გასული არსენ კასაბიევი (94), რომელიც საქართველოს სახელით გამოდიოდა, ვიცეჩემპიონად გამოცხადდება და ვერცხლის მედალს მიიღებს.

დოპინგსკანდალის გამო პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალი 94 კგ-ში რუს ჰაჯიმურატ აკაევს ჩამოართვეს, ოქრო კი – ყაზახ ძალოსან ილია ილინს. შესაბამისად, პეკინის ოლიმპიადაზე პირველ ადგილზე პოლონელი შიმონ კოლეცკი გადავა (ვანო გრიქუროვის კიდევ ერთი შეგირდი), კასაბიევი კი ვერცხლის მედალს მიიღებს.

მედალი საქართველოს გადაეცემა, არსენ კასაბიევი კი ამჟამად პოლონეთის მოქალაქეა და იქვე ცხოვრობს.

როგორც ძალოსანთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა გიორგი ასანიძემ გვითხრა, კასაბიევისთვის ოლიმპიური მედლის გადაცემა დროის ამბავია.

## შედეგები

### 19 ნოემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

მანჩესტერი-არსენალი .................. 1:1
კრ.პალასი-სიტი .................. 1:2
ევერტონი-სუონსი .................. 1:1
საუთჰემპტონი-ლივერპული .................. 0:0
სტოკი-ბორნმუთი .................. 0:1
სანდერლენდი-ჰალი .................. 3:0
უოტფორდი-ლესტერი .................. 2:1
ტოტენჰემი-ვესტ ჰემი .................. 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 12 | 8 | 3 | 1 | 30-14 | 27 |
| 2.სიტი | 12 | 8 | 3 | 1 | 27-11 | 27 |
| 3.ჩელსი | 11 | 8 | 1 | 2 | 26-9 | 25 |
| 4.არსენალი | 12 | 7 | 4 | 1 | 25-12 | 25 |
| 5.ტოტენჰემი | 12 | 6 | 6 | 0 | 18-8 | 24 |
| 6.მანჩესტერი | 12 | 5 | 4 | 3 | 17-14 | 19 |
| 7.ევერტონი | 12 | 5 | 4 | 3 | 16-14 | 19 |
| 8.უოტფორდი | 12 | 5 | 3 | 4 | 17-20 | 18 |
| 9.ბორნმუთი | 12 | 4 | 3 | 5 | 14-16 | 15 |
| 10.საუთჰემპტონი | 12 | 3 | 5 | 4 | 12-12 | 14 |
| 11.ბარნლი | 11 | 4 | 2 | 5 | 11-15 | 14 |
| 12.ვესტ ბრომვიჩი | 11 | 3 | 4 | 4 | 12-15 | 13 |
| 13.სტოკი | 12 | 3 | 4 | 5 | 13-19 | 13 |
| 14.ლესტერი | 12 | 3 | 3 | 6 | 14-20 | 12 |
| 15.მიდლსბრო | 11 | 2 | 5 | 4 | 10-12 | 11 |
| 16.კრ.პალასი | 12 | 3 | 2 | 7 | 17-21 | 11 |
| 17.ვესტ ჰემი | 12 | 3 | 2 | 7 | 13-23 | 11 |
| 18.ჰალი | 12 | 3 | 1 | 8 | 10-27 | 10 |
| 19.სანდერლენდი | 12 | 2 | 2 | 8 | 12-21 | 8 |
| 20.სუონსი | 12 | 1 | 3 | 8 | 11-22 | 6 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნსლი-უიგანი .................. 0:0
ბირმინგემი-ბრისტოლი .................. 1:0
ბლექბერნი-ბრენტფორდი .................. 3:2
კარდიფი-ჰადერსფილდი .................. 3:2
დერბი-როტერჰემი .................. 3:0
ფულემი-უენსდი .................. 1:1
პრესტონი-ვულვზი .................. 0:0
ქპრ-ნორვიჩი .................. 2:1
რედინგი-ბარტონი .................. 3:0
იფსვიჩი-ნოტინგემი .................. 0:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

დეპორტივო-სევილია .................. 2:3
ბარსელონა-მალაგა .................. 0:0
ეიბარი-სელტა .................. 1:0
ატლეტიკო-რეალი .................. 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 12 | 9 | 3 | 0 | 34-10 | 30 |
| 2.ბარსელონა | 12 | 8 | 2 | 2 | 32-13 | 26 |
| 3.სევილია | 12 | 7 | 3 | 2 | 22-17 | 24 |
| 4.ვილიარეალი | 11 | 6 | 4 | 1 | 19-7 | 22 |
| 5.ატლეტიკო | 12 | 6 | 3 | 3 | 25-11 | 21 |
| 6.სოსიედადი | 11 | 6 | 1 | 4 | 18-12 | 19 |
| 7.ეიბარი | 12 | 5 | 3 | 4 | 17-15 | 18 |
| 8.ბილბაო | 11 | 5 | 2 | 4 | 15-13 | 17 |
| 9.სელტა | 12 | 5 | 2 | 5 | 18-22 | 17 |
| 10.ლას პალმასი | 12 | 4 | 4 | 4 | 21-20 | 16 |
| 11.მალაგა | 12 | 4 | 4 | 4 | 17-16 | 16 |
| 12.ბეტისი | 12 | 4 | 2 | 6 | 13-22 | 14 |
| 13.ალავესი | 11 | 3 | 4 | 4 | 11-15 | 13 |
| 14.ესპანიოლი | 11 | 2 | 6 | 3 | 13-17 | 12 |
| 15.ვალენსია | 11 | 3 | 1 | 7 | 15-21 | 10 |
| 16.დეპორტივო | 12 | 2 | 4 | 6 | 10-19 | 10 |
| 17.ლეგანესი | 11 | 3 | 1 | 7 | 9-22 | 10 |
| 18.ხიხონი | 11 | 2 | 3 | 6 | 10-22 | 9 |
| 19.ოსასუნა | 11 | 1 | 4 | 6 | 12-21 | 7 |
| 20.გრანადა | 11 | 0 | 4 | 7 | 9-25 | 4 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ნუმანსია-ვალიადოლიდი .................. 2:1
მალიორკა-სევილია ბ .................. 2:2
ოვიედო-ლევანტე .................. 2:0
ხირონა-ლუგო .................. 3:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

გლადბახი-კიოლნი .................. 1:2
მაინცი-ფრაიბურგი .................. 4:2
ვოლფსბურგი-შალკე .................. 0:1
აუგსბურგი-ჰერტა .................. 0:0
დარმშტადტი-ინგოლშტადტი .................. 0:1
დორტმუნდი-ბაიერნი .................. 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლაიპციგი | 11 | 8 | 3 | 0 | 23-9 | 27 |
| 2.ბაიერნი | 11 | 7 | 3 | 1 | 24-7 | 24 |
| 3.დორტმუნდი | 11 | 6 | 3 | 2 | 26-12 | 21 |
| 4.კიოლნი | 11 | 6 | 3 | 2 | 18-8 | 21 |
| 5.ჰერტა | 11 | 6 | 3 | 2 | 17-10 | 21 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 10 | 5 | 5 | 0 | 18-11 | 20 |
| 7.აინტრახტი | 10 | 5 | 3 | 2 | 14-8 | 18 |
| 8.მაინცი | 11 | 5 | 2 | 4 | 21-20 | 17 |
| 9.ლევერკუზენი | 11 | 5 | 1 | 5 | 18-18 | 16 |
| 10.ფრაიბურგი | 11 | 5 | 0 | 6 | 15-20 | 15 |
| 11.შალკე | 11 | 4 | 2 | 5 | 14-12 | 14 |
| 12.აუგსბურგი | 11 | 3 | 3 | 5 | 10-14 | 12 |
| 13.გლადბახი | 11 | 3 | 3 | 5 | 11-17 | 12 |
| 14.ვოლფსბურგი | 11 | 2 | 3 | 6 | 9-14 | 9 |
| 15.დარმშტადტი | 11 | 2 | 2 | 7 | 10-21 | 8 |
| 16.ვერდერი | 10 | 2 | 1 | 7 | 12-27 | 7 |
| 17.ინგოლშტადტი | 11 | 1 | 2 | 8 | 8-21 | 5 |
| 18.ჰამბურგი | 10 | 0 | 2 | 8 | 4-23 | 2 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰანოვერი-აუე .................. 2:0
კარლსრუე-ზანდჰაუზენი .................. 1:3

**იტალია. სერია ა**

კიევო-კალიარი .................. 1:0
უდინეზე-ნაპოლი .................. 1:2
იუვენტუსი-პესკარა .................. 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 13 | 11 | 0 | 2 | 28-9 | 33 |
| 2.რომა | 12 | 8 | 2 | 2 | 29-12 | 26 |
| 3.მილანი | 12 | 8 | 1 | 3 | 19-15 | 25 |
| 4.ნაპოლი | 13 | 7 | 3 | 3 | 23-14 | 24 |
| 5.ლაციო | 12 | 6 | 4 | 2 | 23-13 | 22 |
| 6.ატალანტა | 12 | 7 | 1 | 4 | 19-13 | 22 |
| 7.ტორინო | 12 | 5 | 4 | 3 | 27-16 | 19 |
| 8.კიევო | 13 | 5 | 3 | 5 | 13-14 | 18 |
| 9.ფიორენტინა | 11 | 4 | 5 | 2 | 14-11 | 17 |
| 10.ინტერი | 12 | 5 | 2 | 5 | 16-14 | 17 |
| 11.ჯენოა | 11 | 4 | 4 | 3 | 13-11 | 16 |
| 12.კალიარი | 13 | 5 | 1 | 7 | 20-30 | 16 |
| 13.სამპდორია | 12 | 4 | 3 | 5 | 13-17 | 15 |
| 14.უდინეზე | 13 | 4 | 3 | 6 | 17-21 | 15 |
| 15.ბოლონია | 12 | 3 | 4 | 5 | 11-18 | 13 |
| 16.სასუოლო | 12 | 4 | 1 | 7 | 14-22 | 13 |
| 17.ემპოლი | 12 | 2 | 4 | 6 | 6-13 | 10 |
| 18.პესკარა | 13 | 1 | 4 | 8 | 9-23 | 7 |
| 19.პალერმო | 12 | 1 | 3 | 8 | 9-23 | 6 |
| 20.კროტონე | 12 | 1 | 2 | 9 | 10-24 | 5 |

**იტალია. სერია ბ**

აველინო-პიზა .................. 1:0
ბარი-კარპი .................. 2:0
ბენევენტო-ბრეშა .................. 4:0
ლატინა-სალერნიტანა .................. 1:1
პრო ვერჩელი-ვიჩენცა .................. 1:1
სპეცია-ჩეზენა .................. 1:0
ტერნანა-ენტელა .................. 3:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

პსჟ-ნანტი .................. 2:0
ნანსი-დიჟონი .................. 1:0
ბასტია-მონპელიე .................. 1:1
ტულუზა-მეცი .................. 1:2
რენი-ანჟე .................. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 13 | 9 | 2 | 2 | 39-15 | 29 |
| 2.პსჟ | 13 | 9 | 2 | 2 | 26-7 | 29 |
| 3.ნიცა | 12 | 9 | 2 | 1 | 24-9 | 29 |
| 4.ლიონი | 13 | 7 | 1 | 5 | 21-16 | 22 |
| 5.გენგამი | 12 | 6 | 3 | 3 | 17-12 | 21 |
| 6.რენი | 13 | 6 | 3 | 4 | 14-17 | 21 |
| 7.ტულუზა | 13 | 5 | 4 | 4 | 17-12 | 19 |
| 8.ბორდო | 12 | 5 | 4 | 3 | 15-13 | 19 |
| 9.სტ.ეტიენი | 12 | 4 | 6 | 2 | 14-10 | 18 |
| 10.ანჟე | 13 | 5 | 3 | 5 | 12-12 | 18 |
| 11.მეცი | 13 | 5 | 2 | 6 | 13-22 | 17 |
| 12.მონპელიე | 13 | 3 | 6 | 4 | 20-27 | 15 |
| 13.მარსელი | 12 | 3 | 5 | 4 | 12-13 | 14 |
| 14.დიჟონი | 13 | 3 | 5 | 5 | 16-18 | 14 |
| 15.კაენი | 12 | 4 | 1 | 7 | 10-21 | 13 |
| 16.ბასტია | 13 | 3 | 3 | 7 | 10-13 | 12 |
| 17.ნანტი | 13 | 3 | 3 | 7 | 9-18 | 12 |
| 18.ნანსი | 13 | 3 | 3 | 7 | 8-19 | 12 |
| 19.ლილი | 13 | 3 | 1 | 9 | 10-19 | 10 |
| 20.ლორიანი | 13 | 2 | 1 | 10 | 9-23 | 7 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლე ავრი-ამიენი .................. 0:0

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ჰერენვენი-ვიტესი .................. 1:1
ერაკლესი-იგლზი .................. 2:1
ტილბურგი-პსვ .................. 0:0
გრონინგენი-დენ ჰააგი .................. 2:1
ექსელსიორი-სპარტა .................. 3:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ორენბურგი-ლოკომოტივი .................. 1:1
ანჟი-უფა .................. 0:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ინვერნესი-აბერდინი .................. 1:3
მოზერველი-პარტიკი .................. 2:0
რეინჯერსი-დანდი .................. 1:0
სტ.ჯონსონი-როსი .................. 2:4

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-თუნი .................. 1:1
ბაზელი-ვადუცი .................. 6:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ალტახი-შტურმი .................. 1:1
ადმირა-ვოლფსბერგერი .................. 4:1
აუსტრია-რიდი .................. 2:0
სტ.პოლენი-მატერსბურგი .................. 2:2

**ბელგია. 1 დივიზიონი**

გენკი-ეუპენი .................. 2:0
ბევერენი-კორტრაიკი .................. 1:1
ოსტენდე-ვესტერლო .................. 5:0
მუსკრონი-გენტი .................. 0:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

გაზიანთები-ქონია .................. 0:3
ბურსა-აკჰისარი .................. 0:0
ადანა-ბეშიქთაში .................. 1:2
ოსმანლი-ანთალია .................. 2:0

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

ბოჰემიანსი .................. 1905-ტეპლიცე 0:1
ბრნო-პრჟიბრჟამი .................. 2:2
ბოლესლავი-პლზენი .................. 0:0
სლოვაკო-ჰრადეც კრალოვე .................. 1:3
იაბლონეცი-ლიბერეცი .................. 3:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლენჩნა-რუხი .................. 0:4
პოგონი-ვისლა .................. 6:2
ლეხია-პლოცკი .................. 2:1

**პლოცკის გოლი გიორგი მერებაშვილმა გაიტანა**

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ზორია-ოლექსანდრია .................. 1:2
ოლიმპიკი-ჩერნომორეცი .................. 1:0
დინამო-სტალი .................. 2:1
შახტარი-კარპატი .................. 2:1

**დანია. სუპერლიგა**

ნორდსიელანდი-ორხუსი .................. 3:2

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმიმოქცევის მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# როგორ ავიცილოთ ღრძილების ანთება?

ეკა ირემაშვილი

პაროდონტის დაავადება – ღრძილების ანთება ფართოდაა გავრცელებული. სტომატოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანების უმრავლესობას პაროდონტის დაავადება სხვადასხვა ხარისხით აღენიშნება. თუ მკურნალობა დროულად არ ჩატარდა, ეს დაავადება კბილის მორყევასა და დაკარგვას იწვევს.

პაროდონტის დაავადება შეიძლება განვითარდეს როგორც კბილის მაგარ და რბილ ნადებში არსებული მიკროორგანიზმებით, ტრავმული თანკბილვით, უხარისხო და არასწორად ჩატარებული რესტავრაციებითა და ორთოპედიული კონსტრუქციებით, ასევე ზოგადი ფაქტორების ერთობლივი ზემოქმედებით ორგანიზმის რეაქტიული ძალების ცვლილების ფონზე.

ღრძილის ანთებას ისევე, როგორც კარიესულ დაავადებას კბილის ნადებში არსებული სპეციფიკური მიკროორგანიზმები და მათი ცხოველქმედების პროდუქტები იწვევს. ეს მავნე პროდუქტები შეიცავს ენდოტოქსინებს, ეკზოენზიმებს და ანტიგენური ბუნების არიან.

ერთი მხრივ, ბაქტერიების ქსოვილში შეჭრის უნარი, რაოდენობა, სახეობრივი შემადგენლობა, გამომუშავებული პროდუქტები, მეორე მხრივ კი ქსოვილებისა და ორგანიზმის რეზისტენტობა ანთების ხასიათსა და ხშირად დაავადების ფორმასა და სიმძიმეს განსაზღვრავს.

ღრძილების ანთებით გამოწვეული დისკომფორტისა და უსიამოვნო სუნის გარდა, დაავადების პროგრესთან ერთად ვითარდება კბილის საყრდენი სტრუქტურის განლევა, რაც კბილის მორყევასა და ხშირ შემთხვევაში დაკარგვას იწვევს.

მკურნალობა თითოეული პაციენტისთვის უნდა იყოს მაქსიმალურად ინდივიდუალური, ზოგადი და სტომატოლოგიური სტატუსის შესაბამისი. აქედან გამომდინარე, მკურნალობას აქვს კომპლექსური ხასიათი ადგილობრივი და ზოგადი თერაპიული საშუალებების გამოყენებით.

პროცესის მიმდინარეობიდან მიზეზისა და განვითარების მექანიზმის გათვალისწინებით იგეგმება მკურნალობა, რომელიც მიმართული უნდა იყოს არა მხოლოდ ანთებითი პროცესის ლიკვიდაციისკენ, არამედ ორგანიზმის ზოგადი მდგომარეობისა და მისი დამცველობითი ძალების გაძლიერებისკენ.

ყოველი სპეციფიკური მკურნალობის დაწყების წინ აუცილებელია ადგილობრივი გამაღიზიანებელი ფაქტორების მოცილება, რომლის გარეშეც შემდგომი აქტივობა აზრს კარგავს. ეს პროცედურა თქვენმა სტომატოლოგმა უნდა ჩაატაროს, რადგან ადგილობრივი ფაქტორების გამოვლენა და ლიკვიდაცია მხოლოდ პროფესიონალის საქმეა.



ნათია აბრამიძე

ანთებითი პროცესის ფორმის მიუხედავად, ადგილობრივი მკურნალობის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი კომპონენტია კბილის მაგარი ნადების მოცილება პროფესიული ჰიგიენით და პირის ღრუს ანტისეპტიკური დამუშავება.

**გვესაუბრება ექიმი-სტომატოლოგი ნათია აბრამიძე:**

– ღრძილების ანთების ძირითადი გამომწვევი მიზეზია კბილების არასწორი მოვლა. პირველად ეტაპზე არის თეთრი ფერის ნადები კბილის ყელსა და ღრძილის კიდეს შორის. თუ პაციენტმა დროულად არ მიაკითხა სტომატოლოგს და არ მოიშორა ეს ნადები პროფესიული წმენდით, მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდება.

ადამიანებმა რეგულარულად უნდა იხეხონ კბილები დღეში ორჯერ – დილით ჭამის შემდეგ და ღამით ძილის წინ. კარგი იქნება, თუ დილით უფრო ხანგრძლივად გაიხეხავენ კბილებს, რომ მთელი ღამის ნადები მოიშორონ.

***– დილით რატომ არის უფრო ხანგრძლივი წმენდა საჭირო?***

– იმიტომ, რომ ძილის დროს მეტი ნერწყვი გამოიყოფა. თუ დაკვირვებიხართ, კბილის წმენდის დროს ნერწყვის დენა იმატებს. ღამით სანერწყვე ჯირკვლებიდან მეტი ნერწყვი მოდის, ამიტომ ნადები, რომელიც ღამის განმავლობაში კბილებზე დაილექება, დილით კარგი ხეხვით უნდა მოვიშოროთ.

***– რა დაავადებებია გავრცელებული ყველაზე მეტად?***

– უფრო გავრცელებულია სოკო გინგივიტი.

***– როგორია სიმპტომები?***

– სიმპტომები არის შეშუპება, ციანოზი, წვის შეგრძნება. საწყის ეტაპზე რთულია ამის გამოვლენა, ამიტომ ადამიანმა 6 თვეში ერთხელ უნდა მიაკითხოს სტომატოლოგს, რომ შემდგომი გართულებები თავიდან აიცილოს. მინდა, ექიმთან სიარულის კულტურა საქართველოში დამკვიდრდეს, მაგრამ ჯერჯერობით აქამდე შორს ვართ. ხშირად ადამიანები ამას მატერიალური მდგომარეობით ხსნიან.

***– როგორ მკურნალობთ ღრძილების დაავადებას?***

– თუკი ღრძილების ანთებითი პროცესი დაწყებულია, კეთდება ნაცხის ანალიზი და შემდეგ იწყება მკურნალობა.

***– ღრძილების ანთების შემთხვევები გახშირდა?***

– ძალიან გახშირდა ბოლო პერიოდში. მოსახლეობის 80 პროცენტს აქვს ღრძილების ანთება სხვადასხვა ხარისხში.

***– როგორია თავდაცვის მექანიზმი?***

– თავდაცვის ერთადერთი მექანიზმი არის ჰიგიენა. აუცილებელია ჯაგრისის შეცვალა 2-3 თვეში ერთხელ და სათანადო სირბილის ჯაგრისის შერჩევა, რომ ღრძილები არ დავიზიანოთ. ღრძილების დაზიანება იცის ახალმა ხილმაც.

***– მზესუმზირამ?***

– მზესუმზირა აზიანებს კბილებს. თუ ძალიან გვიყვარს მზესუმზირა, ჯობს, ხელით გავარჩიოთ.

***– ასაკობრივი ზღვარი არსებობს?***

– ბავშვებშიც არის ღრძილების დაავადებები. საკმარისია, ბავშვმა პირში ჩაიდოს ჭუჭყიანი ხელი, რომ სტომატიტი გაუჩნდეს. ასაკობრივად პაციენტების დაყოფა ამ მხრივ ცოტა რთულია.

***– კბილის მორყევა უკვე ბოლო ეტაპია?***

– რა თქმა უნდა. პაროდონტი არის კბილის საყრდენი. ჯანმრთელი ღრძილი უზრუნველყოფს კბილის მყარად დგომას. საკმარისია, ღრძილი დაზიანდეს, შემდეგ იწყება კბილის რყევა. ეს არის ბოლო სტადია. უმჯობესია, ოპერაციამდე ნუ მივალთ, რადგან ნებისმიერი ოპერაცია ორგანიზმისთვის სტრესია, ამიტომ ჰიგიენა ყველაზე მარტივი გამოსავალია. ბავშვობიდან უნდა მივეჩვიოთ, რომ ვიხეხოთ კბილები.

სამწუხაროდ, სპეციალისტთან მიდიან მაშინ, როცა უკვე პირში აქვთ სუნი ან გემო. არ მახსოვს, პაციენტი დროულად მოსულიყოს. თუ კბილს ვუბჟუენ, მაშინ შეიძლება მითხრას, რომ ღრძილებიც დავუთვალიერო. რომ მოვიდეს პაციენტი და თქვას, ღრძილები რა მდგომარეობაში მაქვს, შემიმოწმეთო, ასეთი შემთხვევა არც მახსენდება.

ხშირად ადამიანებს ჰგონიათ, რომ ლამაზი ღიმილი არის თეთრი კბილი და ლამაზი თანკბილვა, რაც არ არის მართალი. თუ ღრძილი ჯანმრთელი არ არის და შესიებულია, კბილის ნახევარს ფარავს, რაც არ უნდა თეთრი კბილი და სწორი თანკბილვა გქონდეთ, მაინც არ გამოიყურება ლამაზად. ამას სტომატოლოგები ზვიგენის ღიმილს ვეძახით. კბილებს შორის სივრცეში გალურჯებული, გაწითლებული, შესიებული სისხლმდენი ღრძილები ნამდვილად არაესთეტიკურია.

***– ყველაზე გადამწყვეტი ფაქტორები რა არის ჯანმრთელი ღრძილებისთვის?***

– დიდი მნიშვნელობა აქვს ჰიგიენას, გენეტიკას. ვნებს ღრძილებს თამბაქო, მაგარი პროდუქტი. აუცილებელია ჯანმრთელი კვება და სტომატოლოგთან სიარული. ბევრი მოსულა და უთქვამს, გავიწმინდე 6 თვის წინ, რა აზრი აქვს, ისევ გაშავდა კბილიო. თუ არ გაიწმენდ, უარესად გაშავდება.

***– ღრძილების ანთება იკურნება?***

– გააჩნია ფორმას, სტადიას, დაავადებას, სირთულეს. ღრძილებს სისტემატური მკურნალობა სჭირდება, რომ სიტუაცია არ გართულდეს.

***– შინაურული მეთოდები რამდენად გამართლებულია?***

– ბევრისგან გამიგია, რომ ივლებენ გვირილის ან მუხის ნაყენს. კი ბატონო, ივლონ გვირილა, მაგრამ პაროდონტიტსა და პაროდონტოზს გვირილა ვერ უშველის. ამას სპეციალისტის ჩარევა სჭირდება. ღრძილების მკურნალობა ხდება ინექციით, აპლიკაციებით.

***– ეს დაავადება გადამდებია?***

– რა თქმა უნდა, გადამდებია. ღრძილების დაავადების მქონე ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისი პირადი ნივთები.

***– განკურნებადია?***

– თუ პაციენტმა დასაწყისში მიმართა ექიმს, განკურნებადია. თავიდან ავიცილებთ ყველაფერს, 6 თვეში ერთხელ თუ მივალთ სტომატოლოგთან. სასურველია, გვყავდეს პირადი სტომატოლოგი, რომელიც უკეთესად იცნობს ჩვენს მდგომარეობას.

***– ძვირია ღრძილების მკურნალობა?***

– არ არის ძვირი. ვიღაცისთვის 5 ლარი ფულია, ვიღაცისთვის 5 ათასი არაფერი არ არის. ღრძილების მკურნალობა არ არის ისეთი ძვირი, რომ ადამიანი ვერ შესწვდეს.

## სკანვორდი



1. საგანი; 2. ჰიგიენური დაწესებულება; 3. „... შეკაზმავს ცხენს?“; 4. გაოცების გამომხატველი შორისდებული; 5. ზრდილობიანი მიმართვა იაპონიაში; 6. ხანა, ეპოქა; 7. ბერძნული ანბანის ასო; 8. ვაზების მწკრივები; 9. ბიბლიური ყაჩაღი; 10. საამური ცხოვრება; 11. უკრაინის პარლამენტი; 12. წყლის რწყილი; 13. არყისებრთა იჯახის ხე; 14. სპორტული სატყორცნი იარაღი; 15. ღირებულება; 16. თანრიგი, რანგი; 17. ქალიშვილი (ინგლისურად); 18. უუფლებო ადამიანი; 19. უდანაშაულობის მტკიცებულება; 20. დასვენების დღე; 21. დედმამიშვილი; 22. მიჯნა, საზღვარი; 23. ჰონდურასის ფულის ერთეული; 24. ფოტოგრაფიაში ხმარებული სამჟღავნი ნივთიერება; 25. ნოტი; 26. ბრინჯის არაყი; 27. ვაშლის ღვინო; 28. უბედური შემთხვევა, საშინელი ამბავი; 29. ექსკურსია ქალაქგარეთ დასვენების მიზნით; 30. თამაში ხის ბურთით და ხის ბოთლებით; 31. დედალოსის შვილი ბერძნულ მითოლოგიაში; 32. გეომეტრიული სხეული.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ნიორაძე; 2. კიშლაკი; 3. „რისლინგი“; 4. ჟუდეცი; 5. ზუგდიდი; 8. მინკუსი; 9. პარალიზი; 12. ნოკდაუნი; 13. კრამიტი; 16. ჟოეკვარა; 17. კანკანი; 19. იკორთა; 20. ლატვია.

**თარაზულად:** 6. ჰინდიკუში; 7. სულგუნი; 8. მულინე; 10. ფარგალი; 11. მიზა; 14. „გორდონსი“; 15. ოკულისტი; 18. „სოკარი“; 21. კატრანი; 22. „სააბი“; 23. ამპერი; 24. ზამინდარი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შოვი; 2. ოდა; 3. ჩოჩიშვილი; 4. აჯიკა; 5. ჰორაციო; 8. კალა; 9. იაგუნდი; 10. ბაიადერა; 12. მინსკი; 13. გუაში; 15. იჯარა.

**თარაზულად:** 1. „შავლეგო“; 6. სოლფეჯიო; 7. ვეკუა; 10. ბრიჯი; 11. „ელესა“; 13. გაუდა; 14. „ელისო:; 16. სოდა; 17. ისაკაძე; 18. არმანი.

## ასტროპროგნოზი
21 ნოემბრისათვის



**ვერძი** – ემოციური დაძაბულობა პარტნიორთან ან ახლობელთან წაგაჩხუბებთ. სერიოზული საქმით ნუ დაკავდებით. **კურო** – ფინანსური პრობლემები გვერდზე დარჩება. ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. **ტყუპები** – შემოსავალი გეზრდებათ. ელოდეთ ახალ, საინტერესო შემოთავაზებებს. **კირჩხიბი** – შესაძლოა, თქვენთვის ხელსაყრელი სამსახური იშოვოთ. უკმაყოფილო არ დარჩებით. საქმიან ქაღალდებზე ხელმოსაწერად შესაფერისი დღეა. **ლომი** – პარტნიორის ქარაფშუტობა კონფლიქტს გამოიწვევს. ყველანაირად ეცადეთ, სკანდალი თავიდან აირიდოთ. **ქალწული** – გადაღლას ჯანმრთელობის გაუარესება მოჰყვება. ექიმთან ვიზიტს ნუ გადადებთ. **სასწორი** – ცვლილებები იწყება. ეს შეეხება როგორც სამსახურს, ისე პირად ცხოვრებას. **ღრიანკალი** – კრიტიკული დღეა. პრობლემები გექმნებათ. ოჯახურ კონფლიქტს მხოლოდ მოთმინებითა და სიყვარულით აიცილებთ თავიდან. **მშვილდოსანი** – წარმატება გელით როგორც პროფესიონალურ სფეროში, ისე პირად ურთიერთობებში. შესაძლოა, დაგაწინაურონ. **თხის რქა** – აქტიურობის დროა. თქვენი მიზანდასახულობა დაფასდება. მთავარია, საქმე პატიოსნად და პასუხისმგებლობით აკეთოთ. **მერწყული** – სიტუაცია გულმოდგინედ გააანალიზეთ და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ. **თევზები** – განსაკუთრებით იღბლიანია დღის მეორე ნახევარი. სანუკვარი ოცნება გისრულდებათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კალეიდოსკოპი

### ფორბსმა ახალგაზრდა მაღალანაზღაურებადი ადამიანები დაასახელა



ამერიკულმა ჟურნალმა ფორბსმა გამოაქვეყნა ყველაზე მაღალანაზღაურებადი ცნობილი ადამიანების რეიტინგი, რომელთა ასაკი 30 წელს არ გადასცილებია.

ამ სიაში პირველ ადგილზე აღმოჩნდა 26 წლის ამერიკელი მომღერალი ტეილორ სვიფტი, რომელმაც 2016 წელს 170 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. მეორე ადგილზე ჯგუფ One Direction-ის წევრები გავიდნენ, რომლის შემოსავალმა 110 მილიონ დოლარს მიაღწია. მესამეზე კი ესპანურ კლუბ „ბარსელონის“ 29 წლის არგენტინელი თავდამსხმელი აღმოჩნდა 81,5 მილიონი დოლარი შემოსავლით.

პირველ ათეულში ასევე აღმოჩნდნენ 28 წლის ბრიტანელი მომღერალი ადელი (80,5 მილიონი დოლარი), 28 წლის რიანა (75 მილიონი დოლარი). შემდეგ მოდიან 22 წლის ჯასტინ ბიბერი, 29 წლის სერბი ჩოგბურთელი ნოვაკ ჯოკოვიჩი და კალათბურთელი კევინ დიურანტი (თითოეულს 56-56 მილიონი დოლარი).

სიის ბოლო ადგილს იკავებენ 26 წლის მომღერალი The Weeknd (55 მილიონი დოლარი), ამერიკული ფეხბურთის 27 წლის მოთამაშე კემ ნიუტონი და მეგოლფე ჯორდან სპიტი (53-53 მილიონი დოლარი).

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# „დედა ენის“ ბაღში ირაკლი ჩარკვიანის სკულპტურული კომპოზიცია განთავსდა



ირაკლი ჩარკვიანს 55 წლის იუბილეზე „დედა ენის“ ბაღში მუსიკოსის, პოეტისა და შემსრულებლის სკულპტურული კომპოზიცია გაიხსნა.

ღონისძიებას ირაკლი ჩარკვიანის ოჯახის წევრები, მეგობრები, თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი ია მაქაცარია და ხელოვანის შემოქმედების თაყვანისმცემლები ესწრებოდნენ.

სკულპტურა ითვალისწინებს ხმოვან სისტემას, რომელიც კომპოზიციის შემადგენელ ნაწილში, სკამებშია დამონტაჟებული და, მათი საშუალებით „მეფის“ მუსიკის მოსმენა 24 საათის განმავლობაშია შესაძლებელი.

სკულპტურული კომპოზიციის ავტორები მოქანდაკეები ვლადიმერ იმერლიშვილი და როკო ირემაშვილი არიან.

# ნინო სულაბერიძის დასახმარებლად საქველმოქმედო საღამო გაიმართება

ჟურნალისტ ნინო სულაბერიძის დასახმარებლად საქველმოქმედო საღამო გაიმართება.

მას თავის ტვინის სიმსივნის დიაგნოზი დაუდგინდა. ჩატარებული ოპერაციების შემდეგ ნინოს ესაჭიროება რეაბილიტაცია. ოჯახს ამის რესურსი აღარ გააჩნია, ჟურნალისტის მდგომარეობა კი მძიმეა.




საქველმოქმედო საღამო 30 ნოემბერს ბაზალეთის ტბის პირას მდებარე სასტუმრო რესტორან „გრიფ ინნ“-ში ჩატარდება. საღამოზე მიწვეული არიან მომღერლები, კომპანიები, ნინოს მეგობრები და ის ადამიანები, რომლებსაც გული შესტკივათ ახალგაზრდა ჟურნალისტზე. ადგილზე განთავსებული იქნება შესაწირი ყუთი და სტუმრები საკუთარი სურვილისამებრ გაიღებენ თანხას ჟურნალისტის გადასარჩენად.

# გიზო ჟორდანია 82 წლის ასაკში გარდაიცვალა

რეჟისორი გიზო ჟორდანია 82 წლის ასაკში გარდაიცვალა.



ღვაწლმოსილი ქართველი რეჟისორი გიზო ჟორდანია არაერთი ჯილდოს მფლობელი და პრემიის ლაურეატი იყო. 80 წლის საიუბილეო თარიღის ფარგლებში, ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უმაღლესი ჯილდოთი „ხელოვნების ქურუმით“ დაჯილდოვდა.

გიზო ჟორდანიას დადგმული აქვს 100-ზე მეტი სპექტაკლი, 70-ზე მეტი შოუ და სახალხო დღესასწაული როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

„ჰაჯი-მურატი“, „ხოგაის მინდია“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ანა ფრანკის დღიური“, „ჰამლეტი“, „აბესალომ და ეთერი“, „სამგროშიანი ოპერა“ რეჟისორის შემოქმედების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია.

გიზო ჟორდანიამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში. განსაკუთრებულია მისი როლი საქართველოს სახელმწიფო ოპერის თეატრის განვითარებაში. გიზო ჟორდანიას ბოლო დადგმით „აბესალომ და ეთერით“ 2016 წელს ოპერის განახლებული თეატრი გაიხსნა.

– ქართულმა თეატრმა დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ქართველი რეჟისორი გიზო ჟორდანია. ბატონი გიზო მრავალი წელი მოღვაწეობდა რუსთაველის თეატრში და არაერთი შესანიშნავი სპექტაკლი დადგა, როგორებიცაა „უკანასკნელი მასკარადი“, „ხოგაის მინდია“, „გააზნაურებული მდაბიო“...

ბატონმა გიზომ რუსთაველის თეატრში მოიყვანა თავის აღზრდილ მსახიობთა ჯგუფი და გზა გაუკვალა ახალგაზრდებს. ამ ჯგუფთან დადგა სწორედ მცირე სცენაზე საინტერესო სპექტაკლები „ჰამლეტი“, „ანა ფრანკის დღიური“, „მუსუსი“... – ნათქვამია რუსთაველის თეატრის სპეციალურ განცხადებაში.

# ჩოხატაურს ხელოვნების ახალი სასახლე აქვს

ჩოხატაურს ხელოვნების ახალი სასახლე აქვს. 2,5 მილიონამდე ლარის ღირებულების პროექტი, რომლის განხორციელება გასულ წელს დაიწყო, ძირითადად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა.



ახლადაშენებული სასახლე საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი კვირიკაშვილმა გახსნა. ხელოვნების სასახლე აღჭურვილია განათებისა და ხმის თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების აპარატურით და სხვადასხვა ტიპის ღონისძიების ჩატარების შესაძლებლობას იძლევა.

მშენებლობაზე სხვადასხვა პერიოდში 100-ზე მეტი ადგილობრივი იყო დასაქმებული. ხელოვნების სახლში მუნიციპალიტეტის სახალხო თეატრი და კულტურის ცენტრი განთავსდება. 350 მაყურებელზე გათვლილი შენობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებულია.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

სპორტი

# ბორჯღალოსნებმა სამოა დაამარცხეს

**დასაწყისი მე-12 გვერდზე**

ბორჯღალოსნებმა მატჩი აქტიურად დაიწყეს, ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა მოიპოვეს, თუმცა მცირედი შეცდომების გამო, პირველი ქულები მხოლოდ მე-10 წუთზე მოიპოვეს. სამოელები იმდენად შევავიწროვეთ რომ, ბურთი ხეირიანად ვერ ამოიტანეს, რის გამოც 5-მეტრა შერკინება დაინიშნა. აქ მეტოქე, უბრალოდ, ვერ დადგა და მსაჯმა ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე ტექნიკური ლელო ჩასტვინა, ხოლო მერაბ კვირიკაშვილმა კარის წინიდან გარდასახა.

თამაშის განახლებისთანავე პატრიკ ფაჰაპალემ კარის წინ 35 მეტრიდან ჯარიმა გაიტანა, რის შემდეგაც სამოა აბურთავდა და 22-ე წუთზე მიზანსაც უწია. გარკვეული პერიოდით ბორჯღალოსნები ახერხებდნენ მათ შეჩერებას, თუმცა რეი ლილომ მაინც შენიშნა დაცვაში ღრიჭო და ლელოში ბურთი ჯორჯ პისის შეაყოლა, ხოლო ფაჰაპალემ გარდასახა.

ამის შემდეგ ქართველმა მორკინალებმა მეტოქეს კვლავ ძალისმიერი თამაში შესთავაზეს, შერკინებასა და მოლში დაჩაგრეს, 32-ე წუთზე სამოელებს 5-მეტრა შერკინებაში უკან დაახევინეს და ბექა ბიწაძემ ლელო დაამიწა. კვირიკაშვილმა ზუსტი გარდასახვის შემდეგ შერკინების მიერ გამომუშავებული ჯარიმაც გაიტანა, ზედ შესვენების წინ, სამოელთა კონტრშეტევა მერაბ შარიქაძემ აღკვეთა და ტაიმი 17:10 დასრულდა.

მეორე ტაიმი პირველზე უფრო მძიმე გამოდგა. სტუმრებმა ინიციატივის დაუფლება მოახერხეს და ფაჰაპალემ 5 წუთის ინტერვალით ორი ჯარიმა გაიტანა – 17:16 55-ე წუთზე. მალე ჩვენმა შერკინებამ კიდევ ერთხელ გამოიმუშავა დასარტყმელი ჯარიმა, კვირიკაშვილმა საშუალო სირთულის დარტყმა ზუსტად შეასრულა და დასკვნითმა მეოთხედმა სრულად სამოელთა იერიშებში ჩაიარა. ბორჯღალოსნებმა ვერ შეძლეს ბურთზე კონტროლის დამყარება, თუმცა მეტოქის იერიშებს კარგად გაუმკლავდნენ და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს.

**ალამა იერემია, სამოას მთავარი მწვრთნელი:**

– თქვენი გუნდი დასკვნით 20 წუთში განსაკუთრებით კარგად იცავდა თავს. ჩემმა ბიჭებმა მოინდომეს და მე მათი გარჯით ამაყი ვარ, თუმცა ამ დონეზე მეტია საჭირო და ეს გაკვეთილი იქნება ზოგიერთი მორაგბისთვის. საქართველოში რაგბი სწორი გზით პროგრესირებს, სწრაფად ვითარდება და ეს შედეგებითაც ჩანს.

**დევიდ ლემი, სამოას კაპიტანი:**

– ვულოცავ საქართველოს ნაკრებს. როგორც მოედანზე მყოფ ადამიანმა მინდა ვთქვა, რომ ჩვენ გვქონდა შანსი, მატჩის მიწურულს გადამწყვეტი ლელო დაგვედო, თუმცა ეს ვერ მოვახერხეთ, რაც მეტოქის კარგი დაცვის დამსახურებაა.

**მილტონ ჰეიგი:**

– მეორე ტაიმში მეტოქის წნეხის ქვეშ მოვექეცით, თუმცა კარგი დაცვის წყალობით, სასურველი შედეგის შენარჩუნება შევძელით. სამწუხაროდ, ამ პერიოდში ბურთის შენარჩუნება ვერ მოვახერხეთ და ამ წნეხს ჩვენც შევუწყვეთ ხელი. დასკვნითი 20 წუთი ძალიან ჰგავდა 3 წლის წინანდელი მატჩის 20 წუთს, როდესაც სამოა პირველად დავამარცხეთ.

**მამუკა გორგოძე:**

– იაპონიასთან ჩვენი შერკინება უფრო დომინირებდა, ვიდრე სამოასთან. სამწუხაროდ, ერთი კვირის წინ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, ახლა კი ძალიან ძლიერი გუნდი დავამარცხეთ. შემდეგი მატჩი შოტლანდიასთან გვაქვს. შოტლანდია ყოველთვის ძლიერი გუნდი იყო და ჩვენთან უდავოდ ფავორიტები არიან. რთული მატჩი გველოდება, თუმცა არაფრის დათმობას ვაპირებთ, ჩვენს ძლიერ მხარეებს გამოვიყენებთ და სასურველი შედეგის მისაღებად ბოლომდე თავს შევაკლავთ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## ჩინელი ძმის გადასარჩენად ქალიშვილობის გაყიდვას ცდილობდა

ცხრამეტი წლის ჩინელი გოგონა შეეცადა, საკუთარი უმანკოება გაეყიდა, რათა მომაკვდავი ძმის სამკურნალო ფული ეშოვა.



უფროსკლასელი სიუ იანხუა ქალაქ ხანჩჟოუს მეტროში იმისთვის ჩავიდა, რომ მგზავრების ყურადღება მიეპყრო საკუთარი უბედურებისადმი. პლაკატის თანახმად, რომელსაც ის მგზავრებს უჩვენებდა, გოგონა პროვინცია იუნანიდან იყო ჩამოსული და მზად იყო, საკუთარი ქალწულობა 200 ათას იუანად გაეყიდა. ფული მას ლეიკემიით დაავადებული ძმის სამკურნალოდ სჭირდებოდა.

მალე სიუი პოლიციამ დააკავა. სამართალდამცავებმა გოგონას ახსნა-განმარტება მოისმინეს, რის შემდეგაც აცნობეს, რომ მისი გეგმა არაკანონიერი იყო.

ერთ-ერთმა ჩინურმა გამოცემამ გამოარკვია, რომ სიუის 23 წლის ძმა სამი წლის წინ დაავადდა. ოჯახმა მთელი თავისი შემოსავალი მისთვის ძვლის ტვინის გადანერგვის ოპერაციას მოახმარა, მაგრამ ახალგაზრდის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, ხოლო მკურნალობის გასაგრძელებლად სახსრები მათ აღარ გააჩნდათ.

გოგონას ძმამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დის განზრახვის თაობაზე არაფერი იცოდა. მას ტანჯავს ის, რომ ოჯახს მძიმე ტვირთად დააწვა მისი ჯანმრთელობა და სურს, რომ სიუი სახლში დაბრუნდეს და სწავლა განაგრძოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

კალეიდოსკოპი

## ავსტრალიელმა სახურავზე გაჭედილი კაჭკაჭი გადაარჩინა

ავსტრალიის ვიქტორიის შტატის მცხოვრებმა გადაარჩინა კაჭკაჭი, რომელიც სახლის სახურავისა და წყლის სადინარს შორის ღიობში გაიჭედა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეოჩანაწერი მამაკაცმა სოციალურ ქსელ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა.



ვიდეორგოლში ჩანს, რომ ავსტრალიელმა კაჭკაჭის მახლობლად შედედებული სისხლი შენიშნა და მიხვდა, რომ ფრინველი დაჭრილი იყო.

– აქედან უნდა გაგათავისუფლო, – დაასკვნა მამაკაცმა.

როგორც ინტერნეტმომხმარებლის აკაუნტშია მითითებული, ის რეგულარულად ცდილობს დაეხმაროს გაჭირვებაში ჩავარდნილ ფრინველებსა და ცხოველებს.

## ეშლი გრეჰემი ახალი თოჯინა ბარბის პროტოტიპი გახდა

ფორმატ პლუს-სეიზის მოდელი ეშლი გრეჰემი ახალი თოჯინა ბარბის პროტოტიპი გახდა. მანეკენმა სათამაშო ჟურნალ გლამურის პრემიის „წლის ქალის“ ყოველწლიურ გადაცემაზე წარმოადგინა.

29 წლის გრეჰემმა განაცხადა, რომ პირადად ადევნებდა თვალს „ეშლი-ბარბის“ გარეგნობის შექმნის პროცესს. კერძოდ, მისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ თოჯინას თეძოები ისეთივე მოცულობითი ყოფილიყო, როგორიც მას თავად აქვს.



თოჯინას ასევე ისეთივე ტანსაცმელი დაუმზადეს, როგორითაც ერთხელ საზოგადოების წინაშე წარდგა გრეჰემი – ტანზე შემოტმასნილი კაბა და ჯინსის ჟაკეტი.

– ჩვენ ერთად უნდა ვიმუშაოთ იმაზე, რომ სილამაზეზე გლობალური წარმოდგენა შევცვალოთ. მიხარია, რომ ბარბის მწარმოებლები პატივს მიაგებენ იმ ქალებს, რომლებიც საზღვრებს აფართოებენ. ჩემთვის დიდი პატივია, რომ ახალი ბარბის პროტოტიპი გავხდი, – განაცხადა გრეჰემმა.

## პროგრამა

ორშაბათი
21 ნოემბერი

06.00, 14.00 ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" 07.00 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 08.00 ან/ფ "მხიარული ფერმა" 08.40 "ტელემანი" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ტრიუმფი**" 12.20 მხ/ფ "**სადღაც დროში**" 15.00, 02.30 "X სტუდია" 16.30 "ეკონომეტრი" 17.00, 03.30 "რეალური სივრცე" 21.00 ტ/სერ. "**შურისძიება**" 22.00 "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად 23.00 ტ/სერ. "**ამერიკელები**" 00.00 მხ/ფ "**ოთხ ივლისს დაბადებული**" (ტ.კრუზი)

08.00 დ/ფ "ჯეიმის ამერიკული საგზაო თავგადასავალი" 09.00 დ/ფ "ვისკის საიდუმლო" 10.00 მხ/ფ "**ბიჭი კალიფორნიიდან**" 12.00 ტ/სერ. "**გულის მუსიკა**" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.00 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 15.00, 18.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "არგუმენტების დრო" 22.00, 01.00 ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.30, 16.00 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" 11.20 სერ. "**სიყვარულის ჟამი**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**ფიცი**" 17.35 სერ. "**პატარძალი**" 18.50, 19.03 სერ. "**ღირსების სახელით**" 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 23.00 მხ/ფ "**შინაური მტრები**" 00.45 მხ/ფ "**ვირთხების რბოლა**" 02.50 მხ/ფ "**მიდელტონი**"

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 06.45 სერ. "**გაბრიელა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**წითელი და შავი**" 15.55 სერ. "**ინდური საგა**" 16.55 სერ. "**ცხოვრების გზები**" 18.50 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 19.55, 20.05 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 22.00 ნიჭიერი 00.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/ფ "**ფანბოი და ჩამჩამი**" 9.00, 19.00 სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" 10.00, 18.00 სერ. "**სკანდალი**" 11.00 სერ. "**კერძო პრაქტიკა**" 13.00, 2.55 სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" 15.00 გვიანი შუადღე 17.00 სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" 20.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30 20.30 22.00 სერ. "**ლურჯის ელფერები**" 23.00 სერ. "**მისტერ რობოტი**" 0.30 მხ/ფ "**ედ ვუდი**"

06.15 ღვთის სახლი 06.35 პატერიკი-ბალავარის სწავლება ღვთის დიდების შესახებ 06.45 ქართული ალბომი 07.20 ჩვენი საგანძური 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ/ფ "**მხიარული რომანი**" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 გამოყენებითი ხელოვნება "მარიონეტები" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ანიმაციური ფილმი 15.30 ერთხელ ბავშვობაში 15.50 დ/ფ "გზა ნათელი-მთავარანგელოზთა ხატის მოგზაურობა მანგლისისა და წალკის ეპარქიაში" 16.55 სპექტაკლი "**კავკასიური ცარცის წრე**" III, IV; 18.05 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.30 ბიბლია ბავშვებისათვის 19.40 საქართველო ევროპულ ოჯახში 20.40 ძილი ნებისა "კომბლე" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 პატერიკი-ბალავარის მიერ იოდასაფის დარიგება 21.35 საეკლესიო აღმშენებლობა 22.15 საქართველოს სამართლის ისტორია 22.15 დ/ფ "მთავარანგელოზობა გოდოგანში" 22.30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები-იეზეკიელი VI 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.45 ქვიშანი დარჩებიან 01.00 დ/ფ "საქართველო" 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "**კარმელიტა**" 10.00 სერ. "**ეკატერინა**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 23.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 1.00 სერ. "**ორი გული**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.00 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.50, 2.30სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" 19.55 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.55 სერ. "**ვინ თუ არა მე**" 21.55 სერ. "**გემი**" 22.40 სერ. "**ესკობარი**"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


21 ნოემბრისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4889

ევრო — 2.6420

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0900

100 რუსული რუბლი — 3.8221

**ამინდის პროგნოზი 21 ნოემბრისთვის**





## 22 ნოემბრიდან

### მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

### ონორე დე ბალზაკი
### მამა გორიო




ონორე დე ბალზაკის „მამა გორიოს“ ზოგი „ადამიანურ კომედიას“, ზოგი კი „ადამიანურ ტრაგედიას“ უწოდებს. მამა გორიო არ არის უბრალოდ მამა. ის არის მამა-მოწამე, რომელიც მოსწყდა თავის საქმეს, უარი თქვა ყოველგვარ პირადულზე და თავი საკუთარ ქალიშვილებს მიუძღვნა.

ბალზაკი ზოგჯერ დასცინის, ზოგჯერ ცრემლებს ღვრის გორიოს გამო. და მაინც, რა იყო მამა გორიოს მთავარი შეცდომა? ამ კითხვაზე პასუხი ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ თავად უნდა მოვძებნოთ.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**




## იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:
– რის ყურებას მირჩევ?
– უყურე, რას დაემსგავსა შენი ცხოვრება...

●●●

რადიოში გამოაცხადეს:
– ციხიდან გაიქცა საშიში დამნაშავე. მოქალაქენო, ფრთხილად იყავით.

მეორე დილით დამნაშავე საკუთარი ნებით დაბრუნდა საპატიმროში. მოცვივდნენ ჟურნალისტები და ეკითხებიან:
– რატომ დაბრუნდით ციხეში და თავისუფლებას პატიმრობა რატომ ამჯობინეთ?
– ეშმაკსაც წაუღია ეს თავისუფლება! დილით სახლში შევიპარე, ცოლი კი მეუბნება, სად მეძავეებში დაეთრეოდი ამდენი ხანი, რადიოში ჯერ კიდევ საღამოს ექვს საათზე გამოაცხადეს შენი გაქცევის ამბავიო.

●●●

პატრულმა დიდი სიჩქარით მოძრავი მანქანა გააჩერა. პოლიციელი მძღოლს ეუბნება:
– თქვენი საბუთები!
– ვერ მოგცემთ, ყალბი საბუთები მაქვს.
– გადმოდით მანქანიდან!
– ვერ გადმოვალ, ჯიბეები ნარკოტიკებით მაქვს სავსე და დამებნევა.
– საბარგული გახსენით!
– ვერ გავხსნი, რამდენიმე დღეა, მიცვალებულის გვამი დევს და უკვე სუნს გაუშვებდა.

პატრულმა სპეცრაზმი გამოიძახა. მათ მძღოლი მანქანიდან გადმოიყვანეს, გაჩხრიკეს, საბარგული გახსნეს, საბუთები შეუმოწმეს, ყველაფერი წესრიგშია. პატრულს მიუბრუნდნენ და ეკითხებიან:
– სადაა გვამი, ნარკოტიკები?!
– ეგ ახლა იმასაც იტყვის, რომ სიჩქარის გადაჭარბებით ვმოძრაობდი!

●●●

გოგო ბიჭს ეუბნება:
– ყველაფერი მომწონს, რასაც კი მეუბნები.
– სერიოზულად? ხუმრობის გარეშე?
– და ხუმრობის გარდა.

●●●

რუსი თავადი მეფეს მოახსენებს:
– მეფე, ურჩხულს მოშივდა!
– რას ჭამს?
– მხოლოდ ქალწულებს.
– საცოდავი, შიმშილით მოკვდება...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## 18 ნოემბრიდან




### მოთხრობები რობინ ჰუდზე

რობინ ჰუდი შუა საუკუნეების ინგლისის ლეგენდარული გმირია. მასზე ბევრი ხალხური ბალადაა შექმნილი. ამ წიგნში თავმოყრილია რობინ ჰუდისა და მისი „მხიარული მეგობრების“ საინტერესო და მიმზიდველი თავგადასავალი, მათი გმირული ცხოვრებისა და საქმიანობის ცალკეული ეპიზოდები.

წიგნი ილუსტრირებულია ლუის ჯონ რიდისა და ჰოვარდ პაილის სურათებით.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**


## ანჯელინა ჯოლი ლესბოსელობას აპირებს



მსახიობ ანჯელინა ჯოლის საბოლოოდ აუცრუვდა გული მამაკაცებზე და აპირებს, რომ მომავალში რომანტიკული ურთიერთობა მხოლოდ ქალებთან ჰქონდეს. ამ ინფორმაციას ვარსკვლავთან დაახლოებული ანონიმი წყარო ავრცელებს.

ერთ-ერთი ინტერნეტგამოცემის მონაცემებით, მეუღლესთან, მსახიობ ბრედ პიტთან დაშორების შემდეგ ჯოლიმ ურთიერთობა განაახლა მოდელ ჯენი შიმიცუსთან, რომელთანაც მას უკვე ჰქონდა ურთიერთობა 1990-იან წლებში. ანჯელინას განზრახვაზე, შეიცვალოს სქესობრივი ორიენტაცია, პორტალის ინფორმატორს 49 წლის შიმიცუმ მიაწოდა ინფორმაცია.

პორტალი აღნიშნავს, რომ მანეკენი ქორწინებაში იმყოფება ნიუიორკელ მაღალი წრის ცნობილ წარმომადგენელ მიშელ ჰარპერთან.

ანონიმი ინფორმატორი ასევე აღნიშნავს, რომ 41 წლის მსახიობის გარემოცვა არ გაუკვირვებია ჯოლის გადაწყვეტილებას, ერთსქესიან ურთიერთობებს დაუბრუნდეს.

– ბევრი თვლიდა, რომ ადრე თუ გვიან ენჯი ქალთან დაბრუნდებოდა და უკვირდათ, რომ ის ასე დიდხანს დარჩა ბრედთან, – განაცხადა ანონიმმა ინფორმატორმა.

## დები კარდაშიანები თავს დუნდულებით იწონებენ



ამერიკელი ტელევარსკვლავის კიმ კარდაშიანის დებმა ჰლოიმ და კორტნიმ სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნეს ფოტოსურათები, რომლებზეც მათი დუნდულებია აღბეჭდილი.

37 წლის კორტნიმ დის ბელფი საკუთარ აკაუნტში გამოაქვეყნა, რომელსაც კომენტარში მიუთითა, რომ ამაყობს ჰლოის შესანიშნავი ფორმით. ამის შემდეგ მან საკუთარი დუნდულების ფოტოც გამოაქვეყნა. გოგონები მზის აბაზანებს იღებდნენ და საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილნი პოზირებდნენ.

ჰლოი კარდაშიანი სოციალურ ქსელ ინსტაგრამში რეგულარულად აქვეყნებს ფოტოსურათებსა და ვიდეოჩანაწერებს, რომლებზეც ფიტნესითაა დაკავებული. სოციალურ ქსელში მის აკაუნტს 58,5 მილიონზე მეტი ხელმომწერი ადევნებს თვალს.

## ფიტნესვარსკვლავებმა სპორტდარბაზში თავი მანეკენებად წარმოადგინეს



სოციალურ ქსელებში პოპულარულმა კალიფორნიელმა ფიტნეს-მწვრთნელებმა მონაწილეობა მიიღეს ინტერნეტფლეშმობში, რომლის ფარგლებშიც ადამიანები მანეკენებივით იქცევიან და გაუნძრევლად დგანან, სანამ მათ ვიდეოზე იღებენ. ვიდეორგოლი ფეისბუქში ერთ-ერთი სპორტსმენის ბრედლი მარტინის გვერდზე გამოაქვეყნეს. ის ხუთ დღეში 23 მილიონზე მეტმა ინტერნეტმომხმარებელმა ნახა.

მარტინი და მისი კოლეგები, რომლებმაც ფლეშმობში მიიღეს მონაწილეობა, პერსონალური ტრენინგით არიან დაკავებულები. სოციალურ ქსელ ინსტაგრამში მამაკაცის გვერდს, სადაც ის ასევე რეგულარულად აქვეყნებს თავისი ვარჯიშების ამსახველ ფოტოსურათებს, 1,8 მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ბორჯღალოსნებმა სამოა დაამარცხეს



**საქართველო – სამოა 20:16**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

**საქართველო:** კვირიკაშვილი, მჭედლიძე, კოშაძე, შარიქაძე, თოდუა, მალაღურაძე, ლობჟანიძე; ნარიაშვილი, ბრეგვაძე, ჩილაჩავა, მიქაუტაძე, ნემსაძე, კოლელიშვილი, გორგოძე, ბიწაძე.

**მარქაფა:** ალხაზიშვილი, ასიეშვილი, ქუბრიაშვილი, სუთიაშვილი, თხილაიშვილი, ბეგაძე, აფციაური, ჯინჭველაშვილი.

**სამოა:** ნიკორო, პერესი, პისი, ლილო, დ.ლემი, ფააპალე, ფოტუალიი; მულიპოლა, ლეიატუა, პერენისე, ლეპა, პაულო, ჯ.ლემი, ფოე, ფაოსილივა.

**მარქაფა:** ელია, სასაგი, ლეატიგაგა, ალაფიპო, მამეა-ლემალუ, ფააფოუ, ქოული, ლეუილა.

იაპონიასთან განცდილი მარცხის შემდეგ ბორჯღალოსნებმა დაცვაში თამაშის ხარისხის გააუმჯობესეს, ნაკლები შეცდომები დაუშვეს და გულშემატკივრები სამოას ძლევით გაახარეს.

ბორჯღალოსნებმა მართლაც კარგად ითამაშეს. ამასთან, ორი განსხვავებული სტილით – პირველ ტაიმში შეტევაში და მეორეში – დაცვაში. ეროვნული კვართი პირველად მოირგეს გიორგი კოშაძემ და ბადრი ალხაზაშვილმა. ტრადიციულად, მეტოქეს ვაჯობეთ შერკინებაში და 20-ვე ქულა ამის ხარჯზე მოვიპოვეთ. კარგად ვითამაშეთ დერეფანში და, შერკინების მსგავსად, რამდენჯერმე მეტოქის მოწოდებაც მოვიგეთ.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ფრანგი მწერალი; 3. აზერბაიჯანული საჭმელი, კატლეტის მსგავსი; 8. მართკუთხა სამკუთხედის გვერდი; 9. დიდი ფრინველის ფრენა; 14. სახელმწიფო აზიაში; 15. უკრაინის მარცხენა ნაპირის ჰეტმანი; 17. უკრაინის პარლამენტი; 20. პატარა მგალობელი ჩიტი; 22. მძიმე სამხედრო მანქანა; 23. სამიჯნურო ურთიერთობა ქალ-ვაჟს შორის; 25. წილი ბიზნესში; 26. სადეზინფექციო სითხე; 27. აღმოსავლეთი; 28. ციტრუსი.

**შვეულად:** 1. თვალის გუგა; 2. ბუნებრივი საღებავი; 3. ხამი ტყავის შინნაკეთი ფეხსაცმელი; 4. გაორმაგების აღმნიშვნელი წინსართი; 5. მდინარის სადენი ჩაღრმავება; 6. კათოლიკეთა წირვა; 7. სწორი ბალახოვანი ადგილი; 10. ფირნიში; 11. კრაველის ქუდი; 12. გეომეტრიული სხეული; 13. თავის ჩონჩხი; 16. სურათი ზღვის ხედით; 18. ეთერზეთების შემცველი სურნელოვანი მცენარე; 19. უფლისწული; 21. წყლისპირა მცენარე; 24. შარავანდედი.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**




ლურჯი წითელი ყვითელი შავი